საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ხუთშაბათი, 20 აპრილი. 2017 წ. №81 (8218), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ტერიტორიის შემდეგ ტროტუარის ოკუპაცია...



რუსეთის საელჩოს უზარმაზარი სასახლე სოხუმში

8

პრემიერი აჭარის მაღალმთიან სოფელ წაბლანაში

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა წაბლანის ეკოლოგიური ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნას პატივი მიაგო.

გიორგი კვირიკაშვილი გუშინ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ წაბლანაში იმყოფებოდა, სადაც 28 წლის წინათ, 1989 წლის 19 აპრილს ჩამოწოლილმა მეწყერმა 23 ადამიანის, მათ შორის, სამი ბავშვის სიცოცხლე იმსხვერპლა. პრემიერმა აღნიშნა, რომ ქვეყანას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშუშებული 1989 წლის 9 აპრილით გამოწვეული იარა, როდესაც 19 აპრილის ტრაგედიამ 23 ადამიანი შეიწირა.

გიორგი კვირიკაშვილმა აჭარის მაღალმთიანეთის განსაკუთრებულობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს კუთხე საოცარია, უპირველეს ყოვლისა, აქ მცხოვრები ადამიანების თვალსაზრისით. მემორიალთან პრემიერ-მინისტრი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესა და შინაგან საქმეთა მინისტრთან ერთად იმყოფებოდა.

რუსეთის ჰიბრიდული ომი მსოფლიოს წინააღმდეგ

8

მაჟორიტარები ცარცის წრეში

5

ალოიზ ზურაბიშვილი: თანაპარტიელები ერთმანეთს უმიზნებდნენ საფერფლეს, ეს მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდეს

„ჩხუბი ვის არ უნახავს პარლამენტში, მაგრამ ერთი პარტიის თანაგუნდელები ერთმანეთს უმიზნებდნენ საფერფლეს...

იხ. 3 გვ.

საგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მარიანა მორგოშია უხელმძღვანელებს

„აწარმოე საქართველოში“ განახლებულ სტრუქტურას, რომლის პრეზენტაციაც გუშინ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი გახარიამ გამართა, მარიანა მორგოშია უხელმძღვანელებს. ახალი სტრუქტურა ეკონომიკური განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს — ბიზნესს (ადგილობრივ წარმოებას), ექსპორტსა და ინვესტიციებს გააერთიანებს.

ქართველი ქალები – კაცების „კონტრაბანდისტები“

9

ქართველებთან ფიქტიური ქორწინება – ევროპაში მოხვედრის მარტივი საშუალება?!

ნუგზარ ფოფხაძე



ცხვირანეული თავები დაბლა დახარეთ!

4

წამლეკავი ზვავის პირისპირ

თავისუფალი ვაჭრობა ევროპის ასოციაციასთან, ჩინეთთან და ჰონკონგთან!

უახლოეს მომავალში ამოქმედდება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან, ჩინეთთან და ჰონკონგთან, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა პროექტ „აწარმოე საქართველოში“ ახალი სტრუქტურის პრეზენტაციაზე განაცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, საქართველოს მთავრობამ პრიორიტეტად დაისახა ქვეყნის ღირსეული პოზიციონირება საერთაშორისო ასპარეზზე, რომელიც განაპირობებს ინვესტიციების მოზიდვისა და ექსპორტის ზრდას.

„ჩვენ ძალიან აქტიურად ვმუშაობთ საქართველოს სავაჭრო ბაზრების დივერსიფიკაციის მიმართულებით და უკვე გვაქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ევროკავშირთან, თურქეთთან, დსთ-ს ქვეყნებთან. უახლოეს მომავალში ამოქმედდება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან, ჩინეთთან და ჰონკონგთან. გარდა ამისა, დღეს უკვე ვიხილავთ ინდოეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობას. ეს ყველაფერი ქმნის უზარმაზარ პოტენციალს უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორებისთვის. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ კიდევ უფრო გავაძლიერებთ მუშაობას. უფრო მეტიც, ჩვენი ექსპორტიორების გლობალური პოზიციონირებისთვის რამდენიმე სახელმწიფო უწყება გაერთიანებს ძალისხმევას“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ფრანგები საჰაერო თავდაცვის სისტემის გაძლიერებაში დაგვეხმარებიან

საქართველოს თავდაცვის მინისტრი სამუშაო ვიზიტით საფრანგეთის რესპუბლიკაში იმყოფება. ლევან იზორიას ფრანგი კოლეგა ჟან-ივ ლე დრიანი მასპინძლობს. პირისპირ შეხვედრაზე საქართველოს თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა კოლეგას საფრანგეთში მოწვევისთვის მადლობა გადაუხადა და ყურადღება საქართველოს მიმართ საფრანგეთის მრავალწლიან პოლიტიკურ და პრაქტიკულ მხარდაჭერაზე გაამახვილა.

შეხვედრაზე განხილვის ერთ-ერთი მთავარი საკითხი საქართველოს საჰაერო თავდაცვის სისტემის გაძლიერება იყო. აღინიშნა, რომ ქართული მხარე კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებს კარგად ასრულებს. მინისტრებმა კონტრაქტის მომდევნო ეტაპის შესახებ იმსჯელეს, რაც თავდაცვითი სისტემის გამოყენებისთვის მიზნად ქართველი სპეციალისტების გადამზადებას ისახავს.

მინისტრებმა ნატოსა და ევროკავშირის ეგიდით საერთაშორისო მისიებში საქართველოსა და საფრანგეთის ერთობლივ მონაწილეობაზეც იმსჯელეს. ფრანგ კოლეგასთან საუბრისას ლევან იზორიამ მზაობა გამოთქვა, საქართველომ ოცეულის დონის ქვედანაყოფი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში 2018 წლის სექტემბრამდე შეინარჩუნოს.

შეხვედრის დასასრულს, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ფრანგ კოლეგას საქართველოში, ოქტომბერში დაგეგმილ საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების მე-11 კონფერენციის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და ფორუმში საფრანგეთიდან მაღალი დონის დელეგაციის მონაწილეობის სურვილი გამოთქვა.

ლავროვი სოხუმში საქართველოსთან „იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტის“ გაფორმებას განიხილავს

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ მომავალში ჟენევის დისკუსიების ფარგლებში შესაძლოა „აფხაზეთსა და საქართველოს შორის, სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის ძალის გამოუყენებლობაზე იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტის დადება“.

„აფხაზეთის რესპუბლიკის უსაფრთხოება ყველაზე

საიმედოდაა გარანტირებული რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობით“, — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტთან შეხვედრის დროს.

„აფხაზეთის რესპუბლიკის უსაფრთხოება ყველაზე საიმედოდაა უზრუნველყოფილი იმ ურთიერთობით, რომელიც გაწერილია რუსეთსა და აფხაზეთს შორის დადებულ შეთანხმებებში. ასევე, რუსეთის შეიარაღებული ძალები უზრუნველყოფს იმას, რომ გარედან აგრესიის მცდელობა არ მოხდეს“, — განაცხადა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

სოსო ცისკარიშვილი: ტრამპი ესაუბრა საქართველოს ელჩს, რუსეთის ელჩს ასეთი პრივილეგია დღესაც არა აქვს

„ეს არის სრულიად მიუღებელი და მე ვიტყოდი, რომ

ცინიკური ნაბიჯი კრემლისგან, თუმცა როგორც ჩანს ისინი თავად არიან გუნებაწახდენილნი. მას შემდეგ, რაც ამერიკის ახალმა პრეზიდენტმა საქართველო უკვე რამდენჯერმე მოიხსენია, როგორც სანდო პატრნიორი. ალბათ მოთმინების ფიალა კრემლის მესვეურთ მაშინ მაშინ აევსოთ, როდესაც ბატონმა ტრამპმა მიიღო და ესაუბრა საქართველოს ელჩს, რუსეთის ელჩს ასეთი პრივილეგია დღესაც არა აქვს. მეორე მხრივ სხვა უფრო გამაღიზიანებელი ნაბიჯი რუსეთს არ ეგულება და ეს რასაკვირველია შესაბამისი, არც თუ სასიამოვნო მაგრამ სტაბილურობის მიმანიშნებელია.“ — განაცხადა ექსპერტმა სოსო ცისკარიშვილმა.

მან რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის ოკუპირებულ აფხაზეთში სტუმრობა შეაფასა. მისი თქმით საქართველოს ხელისუფლების რეაქცია არ იყო შესაფერისად მკაცრი და ხმამაღალი.

„ეს ფაქტი შეიძლებოდა ყოფილიყო გაჟღერებული უფრო მკაფიოდ კატეგორიული გამოთქმებითა და ორგანიზებული პროტესტიტაც. საკმარისი არაა რამდენიმე წინადადებიანი მიუღებლობის წარმოჩენა არცთუ ინფორმატიული განცხადებებით. მნიშვნელოვანია, როგორ აღიქვამს დასავლეთი რუსეთის საელჩოს საქართველოს ტერიტორიაზე, იმედი მაქვს, რომ ჩვენ მალე გავიგებთ განცხადებებს სხვადასხვა ქვეყნიდან“, — განუცხადა სოსო ცისკარიშვილმა „ჯი-ეიჩ-ენს“.

სახალხო დამცველის ინსტიტუტი 20 წლისაა!

გიორგი მარგველაშვილი: ხელისუფლების სხვადასხვა შტოების ცივილურობა, პოლიტიკური კულტურა და უნარი, ააშენონ თანამედროვე სახელმწიფო ომბუდსმენის ინსტიტუტთან ურთიერთობითაც განისაზღვრება.

საქართველოს პრეზიდენტი მხარდაჭერას უცხადებს სახალხო დამცველის ინსტიტუტს და აცხადებს, რომ ხელისუფლების სხვადასხვა შტოების ცივილურობა, პოლიტიკური კულტურა და უნარი, ააშენონ თანამედროვე, ევროპული სახელმწიფო, მათ შორის, ომბუდსმენის ინსტიტუტთან ურთიერთობით განისაზღვრება.

აღნიშნული განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საქართველოში სახალხო დამცველის ინსტიტუტის დაარსების 20 წლისთავთან დაკავშირებული საერთაშორისო კონფერენციის გახსნაზე გააკეთა, რომელიც „ადამიანის უფლებათა მრავალმანდატიანი ეროვნული ინსტიტუტების ევოლუციასა და გამოწვევებს“ შეეხებოდა.

კახა კალაძე: ბოლო წლებში 700 მლნ ლარის ინვესტიცია განხორციელდა

ენერგეტიკის **მინისტრის კახა კალაძის განცხადებით, ბოლო წლების განმავლობაში ადგილობრივი ბიზნესის განვითარების მიზნით დაახლოებით 700 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდა.**

მისი განმარტებით, სააგენტოში გაერთიანდება ყველა ის პროგრამა, რომელიც „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში ხორციელდებოდა.

„აწარმოე საქართველოში“ ერთ-ერთი წარმატებული პროექტია. დაახლოებით 700 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდა ბოლო წლების განმავლობაში ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობის თვალსაზრისით, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითრებითვის. შეიქმნება სააგენტო, რომელშიც გაერთიანდება ყველა ის პროგრამა, რომელიც იყო გაერთიანებული ამ დიდი პროექტის ფარგლებში“...

„პატრიოტთა ალიანსი“ შიმშილობას დაიწყებს!

ადა მარშანია თქმით, თუკი მმართველი გუნდი საკონსტიტუციო კომისიაში მათ შენიშვნებს არ გაითვალისწინებს, „პატრიოტთა ალიანსი“ შიმშილობის დაწყებასაც არ გამორიცხავს.

„უაღრესად საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანია კონსტიტუციაზე მუშაობა. ვხედავთ, რომ მმართველ პარტიას და ძალას ეს ნაკლებად ესმის. მივმართავთ პროტესტის ყველანაირ ფორმას იმისთვის, რომ საქართველოს ჰქონდეს საქართველოს სახელმწიფო კონსტიტუცია და არა „ქართული ოცნების“ კონსტიტუცია. უფრო მეტი პასუხსიმგებლობით უნდა მოვეკიდოთ ამ საკითხს. თუ დავინახეთ, რომ ადამიანური საუბარი არ ჭრის ამ გამოჩენილ პოლიტიკურ ძალასთან, მაშინ პროტესტის სხვა ფორმებს შეიძლება მივმართოთ, მათ შორის შიმშილობასაც,“ — განაცხადა ადა მარშანიამ.

პატრიარქის დაცვის სამი წევრი სამსახურიდან გაათავისუფლეს

ამ ინფორმაციას ადასტურებს საპატრიარქოს იურისტი ედიშერ ქარჩავა. მისი თქმით, დაცვის თანამშრომლების გათავისუფლება შსს დაცვის დეპარტამენტის სტრუქტურულ ცვლილებას უკავშირდება. ქარჩავა არ ადასტურებს, რომ გათავისუფლება პატრიარქის დაცვის ყოფილ უფროსს სოსო ოხანაშვილს უკავშირდება:

„ვადასტურებ პატრიარქის დაცვის წევრებიდან სამი პიროვნება იქნა დათხოვნილი. როგორც ვიცი, ეს დამოკიდებული იყო შსს დაცვის დეპარტამენტის სტრუქტურულ ცვლილებასთან დაკავშირებით, ვინაიდან აღნიშნული დაცვის წევრები გადმოვიდნენ სახელმწიფო დაცვის სტრუქტურაში.თუ რა მიზეზით მოხდა ეს, ამ საკითხებზე დასაბუთებული პასუხები შეგიძლიათ მიიღოთ სახელმწიფო დაცვის სამსახურიდან...

მე აღნიშნულ გარემოებას ვერ დაგიდასტურებთ, მე ამის შესახებ არ მსმენია, თუმცა აღნიშნული პირადი მოტივით განთავისუფლებას, რა თქმა უნდა, არ გავიზიარებდი“, — განაცხადა ედიშერ ქარჩავამ.

ტრანზიტი აფხაზეთიდან სომხეთში... ლავროვი სოხუმში საქართველოს არც ახსენებს!

ოკუპირებულ აფხაზეთში მყოფმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთს არ აქვს არანაირი პრობლემა, თუ აფხაზეთზე სომხეთისთვის სატრანზიტო მიმოსვლა აღდგება. ლავროვის განცხადებით, აფხაზეთზე სატრანზიტო მიმოსვლის აღდგენის სამართლებრივი ბაზაც არსებობს:

„ის შეიძლება დაეყრდნოს იმ შეთანხმებებს, რომელიც მიღწეულ იქნა რუსეთსა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას შორის 2011 წელს, როდესაც ჩვენ იქ გავწევრიანდით. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი სომეხი კოლეგები დაინტერესებული არიან ტრანზიტის აღდგენით. დღეს აფხაზეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რესპუბლიკა ამის წინააღმდეგი არ არის, ამიტომ ეს აღარ არის ჩვენზე დამოკიდებული. არამედ იმ ქვეყნებზე, რომლებზეც ამ ტრანზიტმა უნდა გაიაროს“, — განაცხადა ლავროვმა.

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა ხაჯიმბამ კი თავის მხრივ აღნიშნა, რომ „რესპუბლიკა“ მზად არის სომხეთის მიმართულებით სატრანზიტო მიმოსვლის აღდგენისთვის, რაც ბიუჯეტისთვის დამატებითი შემოსავალი იქნება.

„ეს საკითხები ცივილიზებული გზით უნდა გადაწყდეს. თუ ქართული მხარე მზად იქნება, ეჭვიც არ მეპარება, რომ პროცესი დადებითად გადაწყდება“, — განაცხადა ხაჯიმბამ.

კორუფცია საჯარო უწყებებში!

სახელმწიფო **უსაფრთხოების უზრუნველყოფაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კორუფციის წინაღმდეგ ბრძოლას,** — ამის შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელმა ვახტანგ გომელაურმა პარლამენტში სამსახურის ანგარიშის წარდგენისას განაცხადა.

„სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას. საჯარო უწყებებში კორუფციის არსებობა იწვევს მოქალაქეების მხრიდან სახელმწიფოსადმი ნდობის დაკარგვას, ხელს უშლის სახელმწიფოს დემოკრატიულ განვითარებას და მისი ინსტიტუტების გამართულ ფუნქციონირებას. ამასთანავე, კორუმპირებული საჯარო მოხელეები დანაშაულებრივი დაჯგუფებებისა და უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების პოტენციურ სამიზნეებს წარმოადგენენ. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულ სააგენტოში 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 47 საქმეზე, მათ შორის, ქრთამის აღების 22, ქრთამის მიცემის 2, თაღლითობის 8, კომერციული მოსყიდვის 5, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების 4, მითვისების ან გაფლანგვის 2, სამსახურებრივი გულგრილობის 2 და სხვა ცალკეულ დანაშაულებზე. ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია 59 პირი“.

უნგრეთის პრემიერ-მინისტრი დღეს გვეწვევა

საქართველოს 20-21 აპრილს ოფიციალური ვიზიტით უნგრეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი ეწვევა.

21 აპრილს, დილიდან, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში უნგრეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის დახვედრის ოფიციალური ცერემონია გაიმართება. უნგრელ კოლეგას საქართველოს მთავრობის მეთაური გიორგი კვირიკაშვილი პირისპირ შეხვედრაზე უმასპინძლებს, რის შემდეგაც მოლაპარაკებები გაფართოებულ ფორმატში გაგრძელდება.

უნგრეთის პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, დაგეგმილია ორი ქვეყნის მთავრობებს შორის დოკუმენტებზე ხელმოწერის ცერემონია. 11:30 საათზე ვიქტორ ორბანი და გიორგი კვირიკაშვილი მედიისთვის ერთობლივ განცხადებას გააკეთებენ.

უნგრეთის პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, თბილისში, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ საქართველო-უნგრეთის ბიზნესფორუმი გაიმართება, რომლის მონაწილეებს 12:00 საათზე გიორგი კვირიკაშვილი და ვიქტორ ორბანი მიმართავენ. უნგრელ კოლეგას, მეუღლესა და სამთავრობო დელეგაციასთან ერთად, საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ოფიციალურ სადილზე უმასპინძლებს.

დაგეგმილია ვიქტორ ორბანის შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან და პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძესთან.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში უნგრეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი გვირგვინით შეამკობს საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულ გმირთა მემორიალს.

უნგრეთის რესპუბლიკის ოფიციალურ დელეგაციაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი ხელმძღვანელობს, პრემიერ-მინისტრის მეუღლე ანიკო ლევაი, უნგრეთის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრი პიტერ სიიარტო, ეროვნული ეკონომიკის მინისტრი მიჰაი ვარგა, ადამიანური რესურსების მინისტრი ზოლტან ბალოგი, სოფლის მეურნეობის მინისტრი შანდორ ფაზეკაში, ეროვნული განვითარების სამინისტროს ენერგეტიკის საქმეთა სახელმწიფო მინისტრი ანდრაშ არადსკი და პრემიერ-მინისტრის კაბინეტის უფროსი იანოშ ნაგი იმყოფებიან.

დედაქალაქი რომ არ დანაგვიანდეს!

20 აპრილიდან „თბილსერვის ჯგუფის“ ზედამხედველობის სამსახურის ქვეითი ინსპექტორები ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საყოფაცხოვრებო თუ სხვა სახის ნარჩენების დაყრისთვის დააჯარიმებენ.

თბილისში გარემოს დანაგვიანებისთვის ჯარიმები 50 ლარიდან 1000 ლარამდე იქნება.

კერძოდ:

2 კგ-მდე ნარჩენით გარემოს დანაგვიანება - 80 ლარით, იგივე ქმედება ჩადენილი შენობა-ნაგებობიდან - 100 ლარით.

2 კგ-ზე მეტი ნარჩენით გარემოს დანაგვიანება — 150 ლარით, იგივე ქმედება ჩადენილი შენობა-ნაგებობიდან — 500 ლარით.

ძაღლის ან სხვა შინაური ცხოველის მცირე ოდენობის ფეკალური მასით ტერიტორიის დაბინძურება — 50 ლარით (პასუხისმგებლობა არ დაეკისრება მეპატრონეს, თუ იგი დაუყოვნებლივ და სრულად მოასუფთავებს დაბინძურებულ ტერიტორიას).

ხუთ ერთეულამდე საბურავით გარემოს დანაგვიანება (ველოსიპედის საბურავის გარდა) — 150 ლარით.

ხუთი ერთეული ან ხუთ ერთეულზე მეტი საბურავით გარემოს დანაგვიანება (ველოსიპედის საბურავის გარდა) — 500 ლარით.

სახიფათო ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება ან სხვა ქმედება, ჩადენილი ნარჩენების შეგროვების კონტეინერის გარეთ:

ფიზიკური პირი — 400 ლარით.

იურიდიული პირი — 1000 ლარით.

„თბილსერვის ჯგუფის“ ინფორმაციით, დედაქალაქის მასშტაბით 20 ქვეითი ინსპექტორი იმუშავებს.

ქვეითი ინსპექტორები დედაქალაქში 3 აპრილს გამოჩნდნენ, თუმცა მათ გამოჩენას მხოლოდ ინფორმაციული სახე ჰქონდა. ისინი მოქალაქეებს მომავალ სანქციებთან დაკავშირებით აფრთხილებდნენ და მათ მიერ დაყრილი ნარჩენის ურნაში ჩაყრისკენ მოუწოდებდნენ.

თბილისის მეტრო ახალი ვაგონებით შეივსება

მეტროს მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია და კაპიტალური სარემონტო სამუშაოები გრძელდება. თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მფლობელობაში არსებული ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხანა 8 ვაგონს კაპიტალურად არემონტებს.

სამუშაოები თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ვიცე-მერ ლაშა აბაშიძესთან, მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძესთან და მერიის სხვა წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

ვაგონების განახლება, ეტაპობრივად, 2 თვის განმავლობაში მოხდება. მოდერნიზაცია გულისხმობს მოძრავი შემადგენლობის კაპიტალურ განახლებასა და თანამედროვე სისტემების ინსტალაციას — იცვლება ვაგონის ინტერიერი, ექსტერიერს ეძლევა თანამედროვე სახე, ძველი სანათები იცვლება ახალი, დიოდური სანათებით, მემანქანის კაბინა აღიჭურვება თანამედროვე ტიპის მართვის პულტით, ძველი ტიპის მექანიკური, კონტაქტორული დეტალები იცვლება თანამედროვე სტანდარტების მიკროპროცესორული სქემებით აღჭურვილი კვანძებით.

ემზარ კვიციანმა პარლამენტში იჩხუბა

პარლამენტში ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. დაპირისპირება მოყვა ვახტანგ გომელაურის სიტყვით გამოსვლის შემდეგ სხდომის დახურვის თემაზე კამათს.

„რა მნიშვნელობა აქვს, ღია იქნება თუ დახურული, როდესაც უცხო ქვეყნის რეზიდენტი გიგა ბოკერია გვიზის აქ, გინდ გახსენი და გინდ დახურე“, — განაცხადა ემზარ კვიციანმა. ემზარ კვიციანის ამ განცხადებას უმცირესობის წევრების მხრიდან სიცილი და ტაში მოყვა, რის შემდეგაც დეპუტატმა გიგა ბოკერიასკენ გაიწია.

ბოკერიას ჩემი მოფერების უფლებაც არ აქვს!

პარლამენტში გუშინ მომხდარი დაპირისპირებისთვის ემზარ კვიციანი მოსახლეობას ბოდიშს უხდის და აცხადებს, რომ ეს იყო ემოცია.

„ბოკერიას ჩემი და რამდენიმე წელი ჰყავდა ციხეში გამოკეტილი. ვინმეს უკვირს, რომ გაღიზიანებას გამოიწვევდა მის მიერ ჩემი მისამართით წარმოთქმული სიტყვა? ბოკერიას ჩემი მისამართით შენი ჭირიმეც რომ ეთქვა, მას ამის უფლებაც არ აქვს. დამნაშავეებმა არ აგეს პასუხი ამ ქვეყანაში. ეს იყო ემოცია და მე მოსახლეობას ბოდიში მოვუხადე. მინდა, მივმართო ხელისუფლებას, ნუ უბიძგებთ მოსახლეობას შურისძიებისკენ. აღადგინეთ სამართლიანობა“...

...იმ საცოდავმა ესროლა იმის გამო, რომ უკანონოდ ჩამოართვეს ქონება!

დეპუტატი ემზარ კვიციანი რამდენიმე დღის წინათ თელავში მომხდარ დაჭრას გამოეხმაურა, როცა ყოფილი დეპუტატი და თელავის ყოფილი გამგებელი ვასილ დავითაშვილი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრეს:

„ამ ქვეყანაში დანაშაულმა, დამნაშავეებმა არ აგეს პასუხი. კარგად ვიცით, რაც მოხდა თელავში. რატომ მოხდა ის დაჭრა? იმ საცოდავმა ესროლა იმის გამო, რომ უკანონოდ ჩამოართვეს ქონება. ვერ აიტანა, უკვე ხუთი წელი გავიდა“, — განაცხადა კვიციანმა მისი და გიგა ბოკერიას დაპირისპირებაზე საუბრისას.

ოთარ კახიძეს თავი გაუტეხეს...

ოთარ კახიძე გუშინ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მას თავი აქვს გატეხილი. გავრცელებული ინფორმაციით, შემთხვევა მას შემდეგ მოხდა, რაც დეპუტატების ოთახში გიორგი კანდელაკსა და ვანო ზარდიაშვილს შორის კამათის დროს, გიორგი კანდელაკმა საფერფლე ისროლა, რომელიც შემთხვევით ოთარ კახიძეს მოხვდა.

ცხვირაწეული თავები დაბლა დახარეთ!

უკრაინაში „ბომბი“ აფეთქდა. არა ატომური, არც ნეიტრონის... მაგრამ, მაინც „ბომბი“, რომელიც, ნამდვილად მოხვდება, როგორც, სიახლე „პოლიტტექნოლოგიების“ ყულაბაში: უკრაინის კორუფციასთან ბრძოლის სააგენტოს მონაცემთა ბაზიდან, ტექნიკური „შეფერხების“ (!) გასწორების შემდეგ გაქრა გენერალური პროკურატურის და სამხედრო პროკურატურის მაღალჩინოსანთა, აგრეთვე მათთან დაკავშირებული „ტიპაჟის“ დეკლარაციები, სულ ორასი პერსონის... (http://news.liga.net/news/politics/14733259-e)

ერთი სიტყვით, იქ სერიოზული სკანდალია აგორებული. მაგათ თავპირი უმტვრევიათ, ეგ არ ვიდარდო. მაგრამ თავად ეს ფაქტი ერთი სამწუხარო დასკვნისკენ მიბიძგებს: ეს პროკურორები (ყველა არა, მაგრამ საკმაო ნაწილი) როგორ ერთი სტილით არიან ნაშობნი, როგორ ტყუპის ცალივით გვანან ერთმანეთს, მიუხედავად ქვეყნების და რეგიონებისა?!.

ჩვენთან როგორ არის, ნეტავ, საქმე?



ვინმემ ჩაიხედა ჩვენი პროკურორების დეკლარაციებში?

აი მე, მაგალითად, ერთხელ მომიწია ამ ნაბიჯის გადადგმა და დავრწმუნდი, რომ კეზერაშვილის საფინანსო პოლიციაში დაფრთიანებული ბიჭუნების დეკლარაციები მეტისმეტად საინტერესო „საკითხავია“... ისევე, როგორც ზოგიერთი მათგანის მშობლების – ჩვეულებრივი, „რიგითი“ მოქალაქეების მოკლე დროში „გაუმჯობესებული“ ქონებრივი მდგომარეობა. არადა, მთელი საქართველოს მოსახლეობის მდგომარეობა უარესდება. მათი კი...

ღმერთო დიდებულო, საიდან? როგორ? რატომ?

აგერ, ინტერნეტი სავსეა ზოგიერთი მოსამართლის, ძალოვანი სტრუქტურების ჩინოსანთა ქონების ჩამონათვალით, მისი ამსახველი ვიდეოებით, ფოტოებით...

ანდა, ნახეთ ამ „კასტის“ კორპორატიული საღამოების ფოტო-ვიდეო-რეპორტაჟები, რომელსაც გულუბრყვილოდ, მოურიდებლად, სიამაყით და ტრაბახით აქვეყნებენ ეს ბრიყვები და მათზე არანაკლებად „ჭკვიანი“ მეუღლეები... განსაკუთრებით სახალისო იყო ამ რამდენიმე თვის წინათ პროკურორების და მათი ოჯახების ხალისიანი და უხვი დროსტარების ამსახველი დოკუმენტური მასალა.

ვინ არის, საიდან გაჩნდა, სად, როგორ და როდის ჩამოყალიბდა ეს „ტიპაჟი“ იმ ქვეყანაში, სადაც ასეულ ათასობით ლტოლვილია და უაღრესად გაჭირვებული მოსახლეობის უმრავლესობას თვიდან თვემდე უმცირესი შემოსავლით – ხელფასით და პენსიით ძლივს გააქვს თავი.

არადა, იყო პერიოდები, თუნდაც, ჩვენში, როცა იურისტის პროფესია იგივდებოდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილის, თინა წერეთლის, აკაკი კარანაძის და სხვათა უმწიკვლო სახელებთან... მერე წამოვიდა მაგრამ, რა წამოვიდა...

ერთ-ერთ ყველაზე კორუმპირებულად სწორედ ძალოვანი სტრუქტურები, განსაკუთრებით კი მათი საგამოძიებო ნაწილები ჩამოყალიბდნენ, რამეთუ შედარებით „განათლებულები, ჭკვიანები და მოხერხებულები“ უფრო იქ იყვნენ მოკალათებულნი. ისინი „ხელობით“, ანუ „თეთრი ხელთათმანებით“, მასშტაბებით და „სტავკებით“ აშკარად ჯობდნენ მეწვრილმანე ყაჩაღ „გაიშნიკებს“ და მათ მსგავს ღიპიან-უთავო ნაძირლებს...

სწორედ მაშინ აივსო ძალოვანთა სისტემა მართლა ხვადაგი „ხვადაგიანებით“, „კვირაიებით“... მერაბიშვილმა, ადეიშვილმა, ტყიბულელმა ძმებმა კუბლაშვილებმა ეს გაწაფულ-გათავხედებული კასტა გაათანამედროვეს, შესაფერისად შემოსეს და ჰიმნი, სიმღერა და ტელე-რადიორეკლამა არ დააკლეს... და მივიღეთ ახალი სიმბიოზი, რომელსაც პირობით დავარქვათ „ოთოია კახიძე“. ყველა სისტემას ყავს თავისი „ოთოია“, თანაც არაერთი... მაგრამ, არ გათეთრდების ყორანიო, ხომ გაგიგიათ...

ძალოვანი სტრუქტურების დღევანდელი თავკაცები (ყველა არა, დიდი ნაწილი) ყაჩაღებად ნამდვილად არ მოიაზრებიან, მაგრამ სისტემა რომ „ბალასტით“ მაინც დანაგვიანებულია, ამას თავადაც ვერ უარყოფენ.

განათლების, პროფესიონალიზმის, გამოცდილების, გარკვეულწილად – ზნეობის დეფიციტი ყოველდღიურად იგრძნობა. საზოგადოებასთან, მთელ მოსახლეობასთან კონტაქტი, მათი ჩაბმა კრიმინალთან, საზოგადოებრივი წესრიგისთვის საერთო-სახალხო მოძრაობაში, სულ თუ არა, მაინც პრიმიტიულ დონეზეა.

ბათუმის მოვლენებმა, „ციანიდის“ საქმემ, სხვა გახმაურებულმა შემთხვევებმა აშკარად დაგვანახეს, რომ ძალოვანი სტრუქტურები, ანუ, მთლიანად ხელისუფლება სულ თავის მართლების რეჟიმში იმყოფება, სულ აგვიანებს, სულ რაღაც „ბედნიერ“ შემთხვევას ელოდება, რომელიც გადაფარავს ყველაზე მწვავე, საზოგადოებისთვის ამაღელვებელ პროცესს...

ვისაც ჯერ არს, იმას ავიწყდება (ან არ იცის), რომ წინსწრება („პრევენცია“), დროული რეაგირება საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციისთვის გადამწყვეტია. დაგვიანებული რეაგირება, უბრალოდ, წყლის ნაყვაა. ყველა დროში და ყველა სიტუაციაში კლასიკურია ფორმულა: დარწმუნება უფრო ადვილია, ვიდრე... გადარწმუნება!!!

შეაყარე კედელს ცერცვი! უკიჟინე რამდენიც გინდა! ამ ბოლო წლებში იმდენი „სისულელეა“ (პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით) ჩადენილი, რომ აშკარა მეგობრების, გულშემატკივრების, მხარდამჭერების ნაწილსაც კი გაუჩნდა იმის ეჭვი, რომ...

დანარჩენი იმან დაამთავროს, ვისაც სამართავად ჩააბარეს ყველაზე ფაქიზი, ყველაზე მგრძნობიარე, ყველაზე ანგარიშგასაწევი სფერო და ვინც „ნაცარქექიას“ და „კომბლეს“ დახმარებით ცდილობს, გადაფაროს არა მარტო თავისი პრიმიტივიზმი, არამედ... საზოგადოების უკმაყოფილება!

გაუგონარი პრემიებით საკუთარი თავების დამჯილდოებელი მისი კოლეგების, პარლამენტში მოკეკლუცო და ტელეეკრანებზე მოყელყელავე ახალგაზრდა დეპუტატების გასაგონად ვამბობ: ეს უკმაყოფილება უძრავად არ „დგას“ და ადგილს არ ტკეპნის. ის „მოძრაობს და გროვდება“ ადამიანთა გულებში, გონებაში... „მოძრაობს და გროვდება“ საგაზეთო ინტერვიუებში, სტატიებში (მაგ. „ლიტერატურული საქართველო“), ტელე-რადიოსიუჟეტებში, აუდიტორიებში (მაგ, 115-ეში), ქუჩებსა და სახლებში... მართალია ნელ-ნელა, კუს ნაბიჯით, მაგრამ მაინც მიიზლაზნება წინ. და მერე, შეიძლება ისეთი სიჩქარე „ასწიოს“, თოვლის პაწია გუნდა რომ დაეშვება მთის წვერიდან და მერე არე-მარეს წამლეკავ ზვავად გადაიქცევა... აი, ისეთად, ბათუმში რომ „რეპეტიციად“ გვაჩვენეს! იქ ხელისუფლებას არ უმტყუნა ნერვებმა. თუმცა, სხვა არასახარბიელო ტენდენციებიც გამოჩნდა...

და ეს არის დამაფიქრებელი. მეტისმეტად დამაფიქრებელი!!!

ჰოდა, ვიფიქროთ ერთად!

უწინარესად, ხელისუფლებაში მყოფებმა, ცხვირაწეული თავები დაბლა დახარეთ და იფიქრეთ იმაზე, როგორ შევაჩეროთ ერთად ვარდნა იმ პაწია თოვლის გუნდისა, რომელმაც სტარტი უკვე აიღო...

ნუგზარ ფოფხაძე

◎ სტატისტიკა

ბიზნესის დარეგისტრირების ტემპი მატულობს

საქართველოში ბიზნესის დარეგისტრირების ტემპი მატულობს, თუმცა ტენდენცია, რომ თბილისი ეკონომიკურად ყველაზე აქტიურია სხვა რეგიონებთან შედარებით, უცვლელი რჩება.

2017 წლის მარტში ყველაზე მეტი, 2 193, ბიზნესსუბიექტი თბილისში, ყველაზე ცოტა კი, 67 ერთეული, თვითმმართველი ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში დარეგისტრირდა.

მართალია, ბიზნესის რეგისტრაცია ჯერ კიდევ არ აჩვენებს, რომ ეს ბიზნესი აქტიურია და, მით უმეტეს, მომგებიანი. მაგრამ ეს სტატისტიკა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ქვეყანაში აქტივობის სურვილი არსებობს.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე წლის მარტში ქვეყანაში რეგისტრირებული ბიზნესსუბიექტების რაოდენობამ 5 071 ერთეული შეადგინა, რაც, თებერვალთან შედარებით, 24.4 %-ით, 2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი, 3.3 %-ით მეტია.

2017 წლის მარტში, წინა თვესთან შედარებით, სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 24.0 %-ით, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 33.9 %-ით გაიზარდა. განსხვავებული ტენდენცია დაფიქსირდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით: სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 3.6 %-ით გაიზარდა, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 3.3 %-ით შემცირდა.

წინა თვეში ბიზნესსუბიექტთა უმეტესობა დარეგისტრირდა ინდივიდუალური მეწარმის (2 394 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნესსუბიექტთა 47.2 %) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (2 376 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნესსუბიექტთა 46.9 %) სახით. როგორც ჩანს, ბიზნესსუბიექტთა 94.1 % მხოლოდ აღნიშნულ სამართლებრივ სტატუსებს ანიჭებს უპირატესობას.

ნინო ევგენიძე

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი თურქეთია

საქსტატის მონაცემებით, მიმდინარე წლის იანვარ-მარტში თურქეთთან სავაჭრო ბრუნვამ 331 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. შემდეგ მოდის რუსეთი – 255 მლნ. აშშ დოლარი და აზერბაიჯანი -207 მლნ. აშშ დოლარი.

2017 წლის იანვარ-მარტში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 66 პროცენტი შეადგინა.

საღდგომოდ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში 6290 გამოძახება იყო

რეგიონული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი ქალაქ თბილისის და ბათუმის გარდა მთელი ქვეყნის მასშტაბით ოპერირებს და მოსახლეობას გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას 206 ეკიპაჟის მეშვეობით, ოპერატიულად აწვდის.

14-16 აპრილს რეგიონული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში სულ 6290 გამოძახება აღირიცხა. 14 აპრილს გამოძახებათა რაოდენობამ 1837 შეადგინა, 15 აპრილს - 1942, ხოლო 16 აპრილს – 2511. პაციენტთა ნაწილს სამედიცინო მომსახურება ადგილზე გაეწია, 1707 შემთხვევაში კი ჰოსპიტალიზაცია განხორციელდა.

მწვავე ვირუსული ინფექციების მოტივით სასწრაფო დახმარების ცენტრში 530 გამოძახება დაფიქსირდა; ავტოსაგზაო შემთხვევის – 60, ხოლო ზოგადი ინტქოსიკაციის – 35 ფაქტი.

მაჟორიტარები ცარცის წრეში

კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილებების პროექტის მიხედვით, საპარლამენტო არჩევნებზე მაჟორიტარული კომპონენტი უქმდება და მანდატები პროპორციული წესით მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით გადანაწილდება. **კონსტიტუციის ცვლილებების პროექტის თანახმად, პარლამენტის წევრის მანდატები განაწილდება მხოლოდ იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებიც მიიღებენ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5 პროცენტს მაინც.**

პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება 150-ზე და იყოფა ყველა პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა. თუ პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 150-ზე ნაკლებია, გაუნაწილებელ მანდატებს მიიღებს პოლიტიკური პარტია, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღო.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო ცვლილების გარშემო, მმართველ პარტიაშიც აზრთა სხვადასხვაობაა. „ქართული ოცნების“ მაჟორიტარების ნაწილი მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას მხარს არ უჭერს, ეს იმ ფონზე, როცა საპარლამენტო უმრავლესობას შერეულიდან პროპორციულ მოდელზე გადასვლა საჯაროდ აქვს დაანონსებული.

გაუნაწილებელი მანდატების მხოლოდ პირველ ადგილზე გასულ პარტიაზე მინიჭებას არ იზიარებს უმრავლესობის მაჟორიტარი დეპუტატი **კახა ოქრიაშვილი,** რომელიც მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გაუქმებას ქვეყნისთვის საფრთხის შემცველად მიიჩნევს. დეპუტატი აცხადებს, რომ ის მაჟორიტარული არჩევნების გაუქმებას მხარს არ დაუჭერს და ანალოგიურ გადაწყვეტილებას პარლამენტის სხვა მაჟორიტარებიც მიიღებენ.

„ჩვენთან დემოკრატიის ხარისხი არ არის იმ დონეზე, როგორიც არის ევროპაში. ჩვენი ეკონომიკა არ არის იმ დონეზე, რომ პოპულიზმი ვერ გავიდეს არჩევნებში და პოპულისტურმა პარტიებმა ვერ გაიმარჯვონ. ეს არის ძალიან მაღალი რისკის მატარებელი. მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას მხარს არ დავუჭერ“, — აცხადებს კახა ოქრიაშვილი.

ოქრიაშვილი არ არის ერთადერთი, ვინც მხარს არ უჭერს მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას. მაჟორიტარები აცხადებენ, რომ მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას მხარს არ დაუჭერენ. მმართველ გუნდს პარლამენტში 115 მანდატი აქვს, საკონსტიტუციო ცვლილების დასამტკიცებლად კი 113 ხმა არის საჭირო. იმ შემთხვევაში თუკი კანონპროექტს მაჟორიტარი დეპუტატები მხარს არ დაუჭერენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მმართველ გუნდს ოპოზიციის მხარდაჭერა დასჭირდება. თუმცა, უმრავლესობა ამბობს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით გუნდის შიგნით დისკუსია მიმდინარეობს.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიორგი ვოლსკი ფიქრობს, რომ ქვეყნის სტაბილობისათვის უმჯობესია მაჟორიტარული სისტემა, ვიდრე პროპორციული, თუმცა, **აქვე ამბობს, რომ შიდასახელწიფოებრივი კონსენსუსის მისაღწევად აუცილებელია პროპორციული სისტემის განხილვა.** მისივე თქმით, საზოგადოება და ქვეყანა დაინტერესებულია იმით, რომ სტაბილური მთავრობა ჰყავდეს და ეს არ გახდეს გარკვეული პოლიტიკური გაუგებრობებისა და და პოლიტიკური თამაშების შემადგენელი ნაწილი.

„ძალიან არასწორია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას მხარს მაჟორიტარი დეპუტატები არ უჭერენ, თითქოს მაჟორიტარების ინტერესებშია, მუდმივად დარჩნენ მაჟორიტარებად და ისინი არიან დაინტერესებული იმაში, რომ თავისი მაჟორიტარული ოლქი შეინარჩუნონ, რაც არის რეალობის დამახინჯება.

მე, როგორც მაჟორიტარი დეპუტატი, ვფიქრობ, რომ მაჟორიტარული სისტემა და კონკრეტული ადამიანის პასუხისმგებლობა კონკრეტული საარჩევნო ოლქის მცხოვრებლებთან არის მნიშვნელოვანი. აშშ ამის ძალიან კარგი და თვალსაჩინო მაგალითია, მაგრამ თუ ჩვენ გვინდა შიდასახელმწიფოებრივ კონსენსუსს მივაღწიოთ, აუცილებლად უნდა განვიხილოთ პროპორციული სისტემა“, — აღნიშნა გიორგი ვოლსკიმ.

უკვე ცნობილია, რომ ოპოზიცია მხარს არ დაუჭერს მმართველ გუნდს. „სახელმწიფო ხალხისთვის“ და „ნაციონალური მოძრაობის“ შემდეგ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას ტოვებს პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველო“. გიორგი ტუღუშის განცხადებით, კომისიის შემადგენლობის დატოვების თაობაზე კონსულტაციები მიმდინარეობს კომისიის წევრ სხვა პარტიებთან და შესაძლებელია განცხადება ერთობლივად გაკეთდეს.

„არის რამდენიმე პრინციპული საკითხი, რაზეც ოპოზიციური პარტიები პოზიციის შეცვლას არ აპირებენ და რომელთა გათვალისწინებას „ქართული ოცნება“ არ აპირებს. ეს არის მანდატების განაწილების წესის და პრეზიდენტის ირიბი წესით არჩევის საკითხი“, — აცხადებს გიორგი ტუღუში.

საკონსტიტუციო კომისიას ტოვებს პოლიტიკური გაერთიანება „დემოკრატიული მოძრაობა“. დიმიტრი ლორთქიფანიძის განცხადებით, მმართველმა გუნდმა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით არც ერთი ის წინადადება არ გაითვალისწინა, რომელიც კომისიას დემოკრატიულმა მოძრაობამ შესთავაზა.

„კომისიის შეკრების პირველივე დღიდან ჩვენ ვამბობდით, რომ გვქონდა წითელი ხაზები, მათ რიცხვში იყო საარჩევნო სისტემის ცვლილება, რომლის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში კომისიას გამოვუცხადებდით უნდობლობას და გავაკეთებდით განცხადებას ბოიკოტის თაობაზე. საარჩევნო სისტემის მიმართულებით დაგეგმილი ის ცვლილება, რომლის მიღებასაც მმართველი პარტია აპირებს, სამართლიან არჩევნებს ვერ უზრუნველყოფს“, — აცხადებს **დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

„თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარის შალვა შავგულიძის თქმით, **კონსტიტუციაში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით არსებობს წითელი ხაზები, რომლის დარღვევის შემთხვევაში „თავისუფალი დემოკრატები“ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტზე პასუხისმგებლობას არ აიღებენ და საკონსტიტუციო კომისიას დატოვებენ.** შ. შავგულიძის შეფასებით, პროცესები იმ შედეგამდე მიდის, რომ „ქართული ოცნება“ კონსტიტუციაში იმ ცვლილებებს იღებს, რომელიც მას თავიდანვე ჰქონდა დაგეგმილი, პოლიტიკური ჯგუფების შეთავაზებების გათვალისწინება კი არ ხდება.

მართა ლაბაძე

კოვზი ამჯერადაც ჩამივარდება ნაცარში?!

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატრონ ირაკლი კობახიძეს

გილოცავთ ე.წ. საკონსტიტუციო ცვლილებების მოსამზადებელი კომისიის მუშაობის „წარმატებულად“დასრულებას. დარწმუნებული ვიყავი, სამომავლოდ იგი ისეთ წინადადებებსა და რეკომენდაციებს მოამზადებდა, რომელთა ხორცშესხმა უზრუნველყოფდა:

მომავალი საპარლამენტო არჩევნების ობიექტურად ჩატარებას, ანუ ყველა სუბიექტისთვის მისი წარმართვის თანაბარ ხელმისაწვდომობას;

ე.წ. პოლიტიკურ პარტიათა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ნებისმიერი დაფინანსების აკრძალვას;

ამომრჩეველთა აბსოლუტური უმრავლესობის კატეგორიული მოთხოვნის გათვალისწინებას, რომ სამომავლოდ, გაუქმების ნაცვლად, დაიხვეწოს და გაფართოვდეს პარლამენტის წევრთა მაჟორიტარული წესით არჩევის მექანიზმი და სისტემა იმ ვარაუდით, რომ ქვეყნის ნებისმიერ ადმინისტრაციულ ერთეულს მოსახლეობის რიცხოვნობის მიუხედავად, საკანონმდებლო ხელისუფლებაში ჰყავდეს თავისი რჩეული პიროვნება და არა ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიათა ხელმძღვანელების კაბინეტში, მხოლოდ ერთგულების ნიშნით შერჩეული, სრულიად უცნობი წარმომადგენელი;

პარლამენტართათვის ყოველგვარი იმუნიტეტის, პრივილეგიებისა და სხვადასხვა შეღავათის მოხსნას.

სამწუხაროდ, გული მიგრძნობს, რომ ამ მოთხოვნათა გაუთვალისწინებლობის შედეგებს, შემოდგომაზე წიწილების დათვლისას „მოვიმკით“.

რიგითი ამომრჩეველი
ანზორ ბაბუხადია

რას ვაგზავნით, რას ვღებულობთ?!

საქსტატის მონაცემებით 2017 წლის იანვარ-მარტში, სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა, 98 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 17 პროცენტი შეადგინა.

ფეროშენადნობების ექსპორტი 81 მლნ. აშშ დოლარს და შესაბამისად, მთლიანი ექსპორტის 14 პროცენტს უდრიდა. მესამე ადგილზე მსუბუქი ავტომობილების ჯგუფი იმყოფებოდა. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 35 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 6 პროცენტი შეადგინა.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2017 წლის იანვარ-მარტში ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები იყო, რომლის იმპორტმა 138 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 8 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილზე იმ-



ყოფებოდა ნავთობის და ნავთობპროდუქტების სასაქონლო ჯგუფი 122 მლნ. აშშ დოლარით, რაც იმპორტის 7 პროცენტი იყო. მესამე ადგილზე მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი დაფიქსირდა 105 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 6 პროცენტი).

საგარეო ბრუნვა 18 პროცენტით გაიზარდა!

2017 წლის იანვარ-მარტში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 2285 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 18 პროცენტით მეტია;

საქსტატის მონაცემებით ექსპორტი 577 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (30 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 1708 მლნ. აშშ დოლარს (15 პროცენტით მეტი).

საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2017 წლის იანვარ-მარტში 1132 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 50 პროცენტი შეადგინა. ამავე პერიოდში ექსპორტმა რეექსპორტის გარეშე 468 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 32 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბებულ ზოგად ტენდენციებს ასახავს გრაფიკული გამოსახულება 2012-2017 წლების დინამიკური მწკრივის მიხედვით.

საქართველო ანტიტერორისტული კოალიციის აქტიური წევრია

გვესაუბრება საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი გიორგი გობრონიძე

— ბატონო გიორგი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის აზრით, „საქართველო არ განეკუთვნება ტერორისტული თავდასხმის მაღალი რისკის ქვეყანათა რიცხვს, თუმცა ამ თვალსაზრისით არსებობს გარკვეული გამოწვევები". იზიარებთ მსგავს შეფასებას?

— სიმართლეა, რომ ტერორისტული თავდასხმების თვალსაზრისით სერიოზული რისკის ქვეყნების ჯგუფს არ განვეკუთვნებით გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო არ არის ტერორისტებისთვის მიმზიდველი სახელმწიფო რიგ მიზეზთა გამო.

ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტული აქტების განხორციელება არ გამოიწვევს იმ მასშტაბის თუნდაც საინფორმაციო რეზონანსს, როგორსაც, მაგალითად, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ტერიტორიაზე ჩადენილი, ტერორისტულ ორგანიზაციებს კი მოუწევთ დაახლოებით იგივე, ან შესაძლოა, მეტი რესურსის დახარჯვაც კი, რომ მიიღონ მათთვის სასურველი შედეგი საქართველოში.

ამასთანავე, თუ გადავხედავთ საქართველოს დემოგრაფიულ სტრუქტურას, ჩვენ არ გაგვაჩნია რესურსი საიმისოდ, რომ ქვეყანაში სერიოზული ტერორისტული დასაყრდენი შეიქმნას. მაგალითად, საფრანგეთში ძალიან დიდია ადგილობრივი ნატურალიზებული ისლამური თემი. თუ დააკვირდებით საფრანგეთში ტერორისტული აქტების დინამიკასაც, კარგად იკვეთება, რომ უმეტესობა ტერორისტული აქტებისა ჩაიდინეს ნატურალიზებულმა საფრანგეთის მოქალაქეებმა, ან მეორე-მესამე თაობის იმიგრანტებმა არაბული ქვეყნებიდან და ჩრდილოეთ აფრიკის სახელმწიფოებიდან.

თუმცა არის სხვა რისკი, რომ ცალკეულმა სახელმწიფოებმა განახორციელონ გარკვეული თავდასხმები ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ და ამას მიეცეს გარკვეული ისლამისტური მოძრაობების მიერ ჩადენილი ტერაქტის ელფერი. მაგრამ ამ ეტაპზე ამის ალბათობაც ნაკლებია.

— როგორც სუს-ის ანგარიშში ვკითხულობთ, „შემცირდა ტერორისტულ საქმიანობაში ჩართვის მსურველი, რადიკალიზებული მოქალაქეების რაოდენობა". როგორ ფიქრობთ, აქვს ოპტიმიზმის საფუძველი უსაფრთხოების სამსახურს ამ კუთხით და თუ აქვს, რის ხარჯზე შემცირდა მსგავსი განწყობების მქონე მოქალაქეების რაოდენობა?

— თუ გადავხედავთ ახლო აღმოსავლეთში ანტიტერორისტული კამპანიის ფარგლებში მიმდინარე პროცესებს, ცხადი ხდება, რომ ეს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც გამოიწვევდა ნაკლებ დაინტერესებას ტერორისტულ ორგანიზაციებში ჩართულობის თვალსაზრისით. უპირველესად, როდის არის ტერორისტული ორგანიზაცია ადამიანებისთვის მიმზიდველი? — როდესაც ის არის წარმატებული. იგივე „ისლამური სახელმწიფოს" ბოლო მარცხმა და გართულებებმა აჩვენა, რომ მან ვერ შეძლო, შეექმნა წარმატების მაგალითი, რომელიც ძალიან მიმზიდველი გახდებოდა ქართველებისთვის. ამაზე გარკვეული გავლენა იგივე თარხან ბათირაშვილის დაღუპვამაც იქონია, იმანაც, რომ თავად „ისლამური სახელმწიფოს" შესახებ მეტი ინფორმაცია შემოვიდა საზოგადოებაში და კარგად გამოჩნდა, თუ რა არის რეალურად „ისლამური სახელმწიფო", რომელიც არც სახელმწიფოა და მით უმეტეს არც ისლამური, რადგან ის, რასაც ეს ორგანიზაცია აკეთებს, რეალურად არანაირ ჩარჩოებში არ ჯდება ისლამური რელიგიის თვალსაზრისით. გავიხსენოთ, ბზობის დღესასწაულზე ეგვიპტეში მოწყობილი ტერორისტული აქტები, რომელიც ალ-აზჰარის მთავარმა შეიხმა უდანაშაულოთა მკვლელობად შეაფასა, ხოლო ისლამში უდანაშაულოთა მკვლელობასთან დაკავშირებით არის დათქმა, რომ ის, ვინც კლავს ერთ უდანაშაულოს, კლავს მთელს სამყაროს!..

ცალკე უნდა აღინიშნოს ის ღონისძიებები, რომლებიც სახელმწიფოში ამ მიმართულებით გატარდა. გარკვეული ღონისძიებების უკეთ გატარებაც შეიძლებოდა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რეალურად მიექცა ყურადღება რისკის ჯგუფებს. ბოლო სტატისტიკას თუ დავხედავთ, საქართველოდან სირიაში ემიგრირებული ადამიანების რაოდენობა ნულამდე დავიდა.

— გასაგებია, მაგრამ ალბათ, გასათვალისწინებელია ის ხარვეზები, რომელიც აღირიცხა დარის შესახებაც საჯაროდ გახდა ცნობილი. გავიხსენოთ თუნდაც დავით ბორჩაშვილის ირგვლივ განვითარებული მოვლენები, ან ერთ-ერთი არასრულწლოვანის საქმე, რომელმაც ქვეყნიდან თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მეშვეობით მოახერხა გაღწევა...

— ხარვეზები თავიდანვე ძალიან ბევრი იყო. ამასთან, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რთულია, გააკონტროლო მსგავსი ნაკადი. შუბლზე არავის აწერია, რომ ტერორისტია, ყველა ლეგალურად გადადის თურქეთის ტერიტორიაზე. თურქეთში გადასვლა შესაძლებელია ID ბარათით, ხოლო თუ მშობლის ნებართვას გააყალბებს, არც არასრულწლოვანისთვის წარმოადგენს საზღვრის გადაკვეთა პრობლემას. სირიაში გადასვლა თურქეთის ტერიტორიიდან ხდება და აქ უკვე რთულია და სამომავლოდაც რთული იქნება ქართული სპეცსამსახურებისთვის ამგვარი მიგრაციული ნაკადის აღკვეთა. წინააღმდეგ შემთხვევაში საჭიროა სერიოზული ოპერატიული ღონისძიებების გატარება. საუბარია ძალიან დიდი რაოდენობით, ძალიან ბევრი ადამიანის შესახებ ინფორმაციის შეგროვებაზე, რასაც არა მხოლოდ ქართული, არამედ გაცილებით დიდი და ძლიერი ქვეყნების სპეცსამსახურიც კი შეიძლება, ვერ გასწვდნენ. თუმცა ეს არ არის კონტრტერორისტული და ანტიტერორისტული პოლიტიკის მთავარი მსაზღვრელი ეფექტურობის თვალსაზრისით. მაგალითად, იგივე პანკისის ხეობაში დაიწყო გარკვეული ღონისძიებები და ძვრები იმ მიმართულებით, რომ საზოგადოებისთვის გაეჩინათ თუნდაც სხვა ალტერნატივები; უფრო გაიხსნა დიალოგი ისლამურ თემთან და გამოჩნდა, რომ თავად ისლამურ თემში არაა ბევრი ადამიანი მსგავს აქტივობებში ჩართვის მომხრე. კარგი იქნება, თუ ამაზე სწორი შეხედულებების ჩამოყალიბება იქნება უზრუნველყოფილი, რადგან ხშირ შემთხვევაში, რასაც ვისმენდი თუნდაც იგივე პანკისის ხეობაზე, თავიდანვე გადაჭარბებული იყო. თავად ხშირად მიწევს იქ ყოფნა.

— თავად სახელმწიფოს აქტივობას როგორ აფასებთ, გარდა იმ პოლიციური ღონისძიებებისა, რომელსაც ახორციელებს, ვინაიდან ამ საკითხს სჭირდება სიღრმისეული კვლევა და შესაბამისი მიდგომა.

— ეს გარკვეულწილად მართლაც პრობლემაა. როდესაც ვსაუბრობთ სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ ანტიტერორისტულ პოლიტიკაზე, კი ბატონო, გვაქვს მთელი წყება ღონისძიებებისა, რომელიც განხორციელდა სოციალურ-კულტურულ-ეკონომიკური ინტეგრაციის თვალსაზრისით. მაგრამ მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ღონისძიებები უფრო მეტად ფრაგმენტულია და სჭირდება მეტი სისტემატიზაცია, რათა საზოგადოებაში არსებული რადიკალიზაციის ფაქტორები, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე არსებობს საქართველოში, შემცირდეს და ბოლოს საერთოდ მოიხსნას. ამას კი განსხვავებული ტიპის მიდგომა სჭირდება, ვიდრე ის, რომელიც დღეს ხორციელდება სახელმწიფოს მიერ. მხოლოდ უსაფრთხოების სტრუქტურისა და რეპრესიული აპარატის გაძლიერებით ეფექტური დაპირისპირება ვერ მოხერხდება იმ ძალებსა და სოციალურ ინტერესთა ჯგუფებთან, რომლებიც შესაძლებელია, იყვნენ დაინტერესებული საქართველოშიც რადიკალური ფონის ზრდითა და შემდგომში უკვე გარკვეული ტერორისტული ღონისძიებების განხორციელებით. და აქ მნიშვნელოვანია ჩავრთოთ სხვა დაწესებულებებიც.

ერთია განათლების რეგულირების საკითხი და მეორე — დაუნიშნო თემს მუფტი და გააკეთო განცხადება — „ჩვენ საქართველოში ისლამის სუნიტური და შიიტური მიმართულებები გავაერთიანეთო!" ამას მოჰყვა კიდეც კომენტარი: „რაკი ახერხებს რელიგიურ დენომინაციებს, იქნებ ჯერ კათოლიკე და მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის არსებული დიდი სქიზმა გადაგეწყვიტათ და ეს დიდი ქრისტიანული ეკლესია გაგეერთიანებინათო". მთლიანობაში ესეც პრობლემაა ხომ? სახელმწიფოს აქვს სტრუქტურა შექმნილი და მისი ხელმძღვანელი ამ ტიპის განცხადებას აკეთებს. ეს სრული ნონსენსია!

ვერ ვიტყვი, რომ სახელმწიფოს ეფექტური პოლიტიკა აქვს. მაგალითად, მიჩნდება კითხვა, რა საჭირო იყო პრემიერ-მინისტრის აპარატში რელიგიის საკითხთა სააგენტოს შექმნა? როგორია მათი პოლიტიკა მუსლიმ თემთან მიმართებაში? თავად მუსლიმი თემი უკმაყოფილოა მისი საქმიანობით. ზოგადად, რა ხარისხით უნდა ერეოდეს სახელმწიფო რელიგიური ორგანიზაციების ადმინისტრაციულ საქმიანობაში, ცალკე თემაა. ერთია განათლების რეგულირების საკითხი და მეორე — დაუნიშნო თემს მუფტი და გააკეთო განცხადება — „ჩვენ საქართველოში ისლამის სუნიტური და შიიტური მიმართულებები გავაერთიანეთო", ამას მოჰყვა კიდეც კომენტარი: „რაკი ახერხებს რელიგიურ დენომინაციებს, იქნებ ჯერ კათოლიკე და მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის არსებული დიდი სქიზმა გადაგეწყვიტათ და ეს დიდი ქრისტიანული ეკლესია გაგეერთიანებინათო". მთლიანობაში ესეც პრობლემაა ხომ? სახელმწიფოს აქვს სტრუქტურა შექმნილი და მისი ხელმძღვანელი ამ ტიპის განცხადებას აკეთებს. ეს სრული ნონსენსია!

— თქვენ ახსენეთ „ისლამური სახელმწიფოს" ირგვლივ მიმდინარე პროცესები. რაც მეტი იქნება ზეწოლა ამ ტერორისტულ ორგანიზაციაზე, ალბათ, უნდა ველოდოთ ნაკადის სირიიდან გადინებას და პროცესების სხვადასხვა ტერიტორიებზე გადანაცვლებას. ვიცით, რომ სირიაში რუსეთის მოქალაქეების საკმაოდ დიდი რაოდენობაა წარმოდგენილი, რომლებმაც თავის დროზე, სავარაუდოდ, გამოიყენეს საქართველოს ტერიტორია სატრანზიტოდ, ასევე იმყოფებიან საქართველოს მოქალაქეებიც. მსგავს ვითარებაში რამდენად უნდა ველოდოთ ამ მოქალაქეების მხრიდან საფრთხეს?

— ამ კუთხით საინტერესოა ორი საკითხი: სად მოხდება ამ მოქალაქეებიც გაწოვა, ან მოხდება თუ არა საერთოდ. და ვისი მხრიდან უნდა გაიზარდოს სირიაზე ზეწოლა? ალბათ, დასავლური კოალიციის და არაბული ქვეყნების მხრიდან, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ირგვლივ არიან გაერთიანებული ანტიტერორისტულ კოალიციაში. ამ ფონზე შესაძლებელია, საფრთხეები უპირველესად, ევროპის მიმართულებით გაიზარდოს. ჩვენ პრაქტიკულად ყოველდღიურად ვიგებთ ევროპის სხვადასხვა ქალაქებში განხორციელებული ახალი თავდასხმების შესახებ.

მეორე მიმართულებაა რუსეთის ფედერაცია. მას ეს შეუქმნის და უკვე უქმნის პრობლემებს. რაც უფრო აქტიურად იქნება რუსეთის ფედერაცია სირიაში წარმოდგენილი, მით უფრო გაიზრდება მის წინააღმდეგ ე.წ. ჯიჰადისტური პროტესტის ტალღაც და უკვე გვქონდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც რუსეთის სახელმწიფოს წინააღმდეგაც განხორციელდა გარკვეული მოქმედებები.

რაც შეეხება საქართველოს, სხვადასხვა ინფორმაციით, საუბარია საქართველოს დაახლოებით 100 მოქალაქეზე, რომელიც წასულია სირიაში საბრძოლველად. მათი ნაწილი დაიღუპა საბრძოლო მოქმედებების დროს, ზოგს წამოსვლა უნდოდა, არ გამოუშვეს და ამ ამბავს შეეწირა. შესაბამისად, აქედან ის მასა არ არის წასული, რომელიც დაბრუნების შემდეგ რეალურ საფრთხეს შექმნის. მნიშვნელოვანია, რომ დაბრუნების შემთხვევაში ამ ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.

ამდენად, არ მგონია, ეს დიდ პრობლემას წარმოადგენდეს ჩვენთვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო არ არის ერთადერთი მარშრუტი. აზერბაიჯანის ტერიტორიის გამოყენებითაც შესაძლებელია დაღესტანში გადასვლა. საქართველოდან მაინც უფრო რთულია საზღვარზე გასვლა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მესაზღვრეს ვერ მოქრთამავ ადვილად. ვისაც დოკუმენტები წესრიგში ექნება, მათ კი შესაძლოა, გამოიყენონ და ამის ალბათობაც არსებობს. თურქეთიდან ლეგალურად შემოსულ მოქალაქეს შუბლზე არაფერი აწერია, საქართველოსა და რუსეთს შორის კი არ ხდება ამ ტიპის ინფორმაციის გაცვლა და ეს ამ შემთხვევაში უპირველესად რუსეთის ფედერაციის პრობლემაა. აქ თავს ვერაფრისგან დავიზღვევთ და უნდა ველოდოთ რუსეთის ფედერაციისგან კიდევ ერთ ბრალდებას ტერორიზმის მხარდაჭერაში, რაც მას ახასიათებს: პერიოდულად გვადანაშაულებს ტერორიზმის მხარდაჭერაში, რაც, საბედნიეროდ, ვერ დაასაბუთა და ვერ დაასაბუთებს, რადგან საქართველო არათუ მხარდამჭერი, ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრია ანტიტერორისტული კოალიციისა.

ესაუბრა
დიანა მუსელიანი
„აქცენტი"

ნიკოლაი სტარიკოვი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად



აი ისტორია, რომელიც ახასიათებს სტალინის დამოკიდებულებას სახაზინო ქონებასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს ჩარხსაშენებელი სახალხო კომისარიატის მიერ საბრძოლო ტექნიკის გაზრდის შესაძლებლობის განხილვა. ამ სახალხო კომისარიატს ხელმძღვანელობდა ა.ი.ეფრემოვი, შემდგომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. და აი, ამხანაგი ეფრემოვი ამბობს, რომ პროდუქციის გამოშვების გაზრდის შესაძლებლობანი არის, მაგრამ მას სჭირდება დახმარება მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტაში. სხვა საკითხებს შორის მან დაასახელა სამმართველო აპარატის გაზრდის აუცილებლობა მთელ სახალხო კომისარიატში რვაასი კაცით. სტალინი ყურადღებით უსმენდა, ხოლო როდესაც ეფრემოვმა დაამთავრა, მივიდა მასთან და შეეკითხა:

— მითხარით გეთაყვა, გაგიგონიათ რაიმე ბუგროვის გვარის შესახებ?

— არა, ამხანაგო სტალინ ასეთი გვარი არ გამიგონია, — უპასუხა ეფრემოვმა.

— მაშინ გეტყვით, — მცირეოდენი დუმილის შემდეგ უთხრა უმაღლესმა მთავარსარდალმა. — ბუგროვი მთელ ვოლგაზე ცნობილი მეწისქვილე იყო. ყველა წისქვილი მას ეკუთვნოდა. მხოლოდ მისი ფქვილი იყიდებოდა ვოლგისპირეთში. მას გემებისა და ბარჟების უზარმაზარი ფლოტი ეკუთვნოდა. მისი სავაჭრო ბრუნვა მრავალი მილიონი ოქროს მანეთით განისაზღვრებოდა. მას უზარმაზარი შემოსავალი ჰქონდა. როგორ ფიქრობთ, რა რაოდენობის შტატი ჰქონდა ბუგროვს ყველა თავისი მეურნეობის სამართავად და მათდამი კონტროლისათვის?!

რასაკვირველია, პასუხის გაცემა ამ შეკითხვაზე არავის შეეძლო. სტალინი გარკვეულ დროს დადიოდა და მდუმარედ ტენიდა ჩიბუხს, შემდეგ კი თქვა:

— რახან არავინ იცით, მე გეტყვით. ბუგროვს ჰყავდნენ: თავად თავისი თავი, მოურავი და ბუხჰალტერი, ვისაც ის წელიწადში ოცდახუთი ათას მანეთს უხდიდა. ამას გარდა ბუხჰალტერი ღებულობდა უფასო ბინას და დადიოდა ცხენებით. ეტყობა, ბუხჰალტერი ღირდა ასეთი ფული. ტყუილად ბუგროვი მას ფულს არ გადაუხდიდა, ჰქონდა თავისი ანგარიში. აი მთელი შტატი. ბუგროვი ხომ კაპიტალისტი იყო და შეეძლო, ეტყობა, ჰქონოდა დიდი შტატი. მაგრამ კაპიტალისტი ამაოდ არ გაფლანგავს ფულს, თუ ეს უკიდურესი აუცილებლობიდან არ გამომდინარეობს, თუმცა ფული მისი საკუთრებაა.

ნ. კ . ბაიბაკოვი

სტალინი ცოტა დაფიქრდა, შემდეგ კი გააგრძელა:

— თქვენ და ჩვენ საკუთარი ფული არ გაგვაჩნია, ის კი თქვენთან ერთად გვეკუთვნის არა ჩვენ, არამედ ხალხს, და ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეპყროთ მას, ვიცოდეთ, რომ განვკარგავთ თქვენთან ერთად არა ჩვენ სიკეთეს, და ამიტომ გთხოვთ თქვენ, — მიმართა სახალხო კომისარს და დაუმატა: — ამ პოზიციით შეხედეთ თქვენს წინადადებას და მოგვეცით ხელმოსაწერად.

როგორ ფიქრობთ, პატივცემულო მკითხველებო, ასეთი ისტორიის მოყოლის შემდეგ ეფრემოვის მიერ სტალინისთვის წაყენებულ წინადადებაში იქნებოდა ციფრი რვაასი კაცის შესახებ: არადა, სტალინს, ხომ შეეძლო, უბრალოდ, გაეცა ბრძანება, შეეძლო, გაელანძღა. ამის ნაცვლად თქვა იგავი და ის ასე ძალიან ხშირად იქცეოდა, წყნარად, მშვიდად, ზოგჯერ გადაკრულად ცდილობდა, აეხსნა ხალხისთვის ის, რასაც იგი რაღაც მიზეზით ვერ გებულობდა. აი, როგორ აუხსნა სტალინმა მარშალ ვასილევსკის (უმალვე დიდი სამამულო ომის შემდეგ), თუ როგორ წარმოუდგენია მას კომუნიზმი.

„მიმაჩნია, — თქვა სტალინმა, — რომ კომუნიზმის საწყისი ფაზა ან პირველი საფეხური პრაქტიკულად დაიწყება მაშინ, როდესაც პურის დარიგებას მოსახლეობისთვის დავიწყებთ უფასოდ.

ერთ-ერთი დამსწრე ეკითხება: „ამხანაგო სტალინ, ეს როგორ — უფასოდ დავარიგოთ პური, ეს ხომ შეუძლებელი საქმეა!“ მაშინ სტალინმა საუბრის ყველა მონაწილე ფანჯარასთან მიიყვანა.

— რა არის იქ?

— მდინარე, ამხანაგო სტალინ,

— წყალი?

— წყალი.

— რატომ არაა რიგი წყლისთვის? ხომ ხედავთ, არც დაფიქრებულხართ, რომ ჩვენ სახელმწიფოში შეიძლება იყოს ისეთივე მდგომარეობა პურთან დაკავშირებულიც.

სტალინმა ცოტა გაიარ-გამოიარა და გააგრძელა: „იცით, რომ თუ არ იქნება საერთაშორისო გართულებები, მე კი მასში მხოლოდ ომი წარმომიდგენია, ვფიქრობ, რომ ეს დადგება 1960 წელს“ (ფ. ჩუევი. „ასორმოცი საუბარი მოლოტოვთან“).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-80

სტალინის ბრალი როდია, რომ ის მოწამლეს 1953 წლის მარტში, მისი უახლოესი „მემკვიდრე“ ძალიან მალე აღმოჩნდა დახვრეტილი, გამარჯვებულმა ხრუშჩოვმა და კომპანიამ დაიწყეს დიდი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მემკვიდრეობის ქარისთვის გატანება.

აი, როგორ აღწერდა ნიკოლაი კონსტანტინეს ძე ბაიბაკოვი — ჩვენი ქვეყნის ნავთობისა და გაზის მრეწველობის შემქმნელი — სტალინის მიერ ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან დარგში გადაწყვეტილებების მიღებას. **ყველა ამჟამინდელი ოლიგარქი პირდაპირ უნდა ლოცულობდეს ამ ადამიანზე. და, ბაიბაკოვისთვის სათანადოდ მოზღვევასთან ერთად არ დავივიწყოთ ისიც, თუ ვინ შენიშნა ამ ადამიანში ორგანიზატორული ნიჭი და დანიშნა ის პასუხსაგებ პოსტზე. ნავთობის დარგი დღეს რუსეთის კეთილდღეობისთვის საკვანძოა — რამდენი წელი გავიდა, მაგრამ ცოტა რამ თუ შეიცვალა. ასე რომ, ჩვენი ქვეყნის სანავთობო აყვავებას საფუძველი ჩაუყარა არა ვინმე სხვამ, არამედ სტალინმა. ნავთობის მრეწველობის ხელმძღვანელთა თათბირი გაიმართა 1940 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში კრემლში. განიხილავდნენ დარგის განვითარების საკითხებს. ნიკოლაი ბაიბაკოვს — მაშინ ნავთობის მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილეს — დაევალა, გაეკეთებინა ცნობა საქმის საერთო მდგომარეობის შესახებ ნავთობის მრეწველობაში. სტალინი წყნარად მიმოდიოდა კაბინეტში, ყურადღებით უსმენდა, არ აწყვეტინებდა, და მხოლოდ მერე დაიწყო კონკრეტული, დამაზუსტებელი შეკითხვების მიცემა. პასუხები უნდა ყოფილიყო მოკლე, საერთო ფრაზების გარეშე. სტალინს არ უყვარდა მრავალსიტყვაობა. მეტად საინტერესოა ერთი დეტალი, რომელიც აღწერა ბაიბაკოვმა. სტალინი ვერ იტანდა დაგვიანებებს. მაგრამ აი, „ვოროშილოვნავთობის“ ტრესტის მმართველმა გვარად სააკოვმა თათბირზე სტალინთან დაიგვიანა. კრიტიკისა და საყვედურის ნაცვლად ბელადი შეეგება მას და სკამი შესთავაზა, თან ამბობდა: „აიღეთ, დრო უნდა დავზოგოთ“. ასეთი ფორმით გამოთქვა მან უკმაყოფილება დაგვიანების გამო. რის შემდეგაც თათბირი გაგრძელდა.**

ნავთობის დარგის ხელმძღვანელებმა დაიჩივლეს მილებისა და მიწოდებული მოწყობილობის ხარისხის გამო. კერძოდ, საუბარი შეეხო დამძიმებული მილების გამოყენების მნიშვნელობას. მათი გამოყენება ზრდის ჭაბურღილების ბურღვის სიჩქარეს. ბაიბაკოვი უხსნის სტალინს, თუ რატომ არ ჰყოფნით ეს მილები: შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატი აფერხებს და შლის ამ მიწოდებებს. სტალინი მივიდა საწერ მაგიდასთან, აიღო ჩიბუხი და დაურეკა შავი მეტალურგიის სახალხო კომისარს ი. ფ.თევოსიანს.

— ძალიან ხომ არ ხართ დაკავებული? მაშინ გთხოვთ, მოხვიდეთ ჩემთან.

რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა თევოსიანი. გაჩაღდა დავა, რომლის დროსაც თევოსიანი ცდილობდა, დაედასტურებინა თავისი უდანაშაულობა ჭაბურღილების გაჩერებაში.

— მილები, რაზეც მიდმის საუბარი, — თქვა სახალხო კომისარმა თევოსიანმა, — ბურღვის დროს განიცდის დიდ დატვირთვას. ვცადეთ, დაგვემზადებინა ქვემეხის ფოლადისგან — სულ ერთია, იმსხვრევა...

— რა უნდა ვქნათ? — იკითხა სტალინმა.

— უნდა ავითვისოთ, — მიუგო თევოსიანმა.

სტალინმა მას მკაცრად შეხედა და ირონიით თქვა:

— ისე ხომ არ გამოგივათ, ამხანაგო თევოსიან, როგორც იმ მოხუცს, რომელმაც ახალგაზრდა ცოლი შეირთო, აწამებდა მას და თავადაც წვალობდა? უმჯობესია, გვითხრათ: რა არის საჭირო, რომ ეს მილები იყოს ხარისხიანი?

პაუზის შემდეგ, რაც მის შეშფოთებაზე მიუთითებდა, თევოსიანმა ითხოვა, გამოეყოთ სამასი ტონა მოლიბდენი. იქ მყოფმა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ.ა. ვოზნესენკიმ დაუყოვნებლივ განაცხადა, რომ მოლიბდენი მხოლოდ ხელშეუხებელ მარაგშია და კვლავ ვხედავთ სტალინის მიერ საქმეთა გაძღოლის სტილს. ის პირდაპირ ბრძანებას არ იძლევა, ცდილობს დაარწმუნოს სხვები. სტალინი ეკითხება ვოზნესენსკის:

— ამხანაგო ვოზნესენსკი, რისთვის იქმნება ხელშეუხებელი მარაგი? — და თავადვე პასუხობს: — იმისთვის, რომ ვჭამოთ, თუ საჭმელი არაფერი გვაქვს. ჩვენ გამოვყოფთ სამას ტონა მოლიბდენს, თქვენ კი გთხოვთ, რაც შეიძლება მალე აღადგინოთ მისი ოდენობა ხელუხლებ მარაგში... (ნ. ბაიბაკოვი. „ორმოცი წელი მთავრობაში“).

თავისი მუყაითობის მიუხედავად, სტალინი არასოდეს ამბობდა უარს თხოვნაზე საქმესთან დაკავშირებით. აი, ვთქვათ, სსრ კავშირსა და გერმანიას შორის ურთიერთობათა გაუმჯობესების შემდეგ 1939 წელს კრემლი ბერლინში აგზავნის დელეგაციას იმის შესარჩევად, თუ რას მიაწოდებდა გერმანიის მრეწველობა რუსეთს. იმისთვის, რომ დაედოთ ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ, ჰიტლერი იძულებული იყო, მიეცა სტალინისთვის კრედიტი 200 მილიონი ოქროს მარკის ოდენობით, რაც სსრ კავშირს უნდა დაეხარჯა გერმანიაში უახლესი ტექნიკის შესაძენად. ამ ტექნიკის შესარჩევად მიდის დელეგაცია ი.ფ. თევოსიანის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არის ავიაკონსტრუქტორი იაკოვლევი. სტალინისა და იაკოვლევის საუბარი შეეხო ფულსაც. კონსტრუქტორი ამბობს, რომ კარგი იქნებოდა, შექმნილიყო დელეგაციის წევრებისთვის ნორმალური მატერიალური პირობები. თორემ ზოგიერთი ამხანაგი ცდილობს, დაზოგოს ფული სასტუმროზე, ტრანსპორტზე, წვრილმან გასამრჯელოებზე, რითაც ზოგჯერ თავს იმცირებენ უცხოელების თვალში. და ამით აფუჭებენ შთაბეჭდილებას ქვეყანაზე.

— რატომ ეწევიან ეკონომიას? — ეკითხება სტალინი.

— აბა როგორ? ყველას ხომ სურს, რომ ჩამოუტანს უცხოეთიდან ოჯახის წევრებს რაიმე საჩუქარი, სუვენირი, და ასე იზოგავენ კაპიკებს...

— გასაგებია, რამდენ სადღეღამისო სახსრებს იღებენ ჩვენგან მივლინებული ადამიანები?

— თხუთმეტ მარკას დღეღამეში.

— რამდენი იქნებოდა საჭირო?

— ვფიქრობ, ოცი მარკა კარგი იქნებოდა.

სტალინი მიდის ტელეფონთან, ურეკავს მიქოიანს და ეუბნება, რომ დელეგაციის წევრებს სადღეღამისო ანაზღაურება გაუზარდონ ოც მარკამდე. მაგრამ იაკოვლევი არ იქნებოდა დიდი პატრიოტი და დიდი კონსტრუქტორი, რომ მხოლოდ სადღეღამისო უზრუნველყოფისთვის ეზრუნა. ის კვლავ ფულზე ლაპარაკობს, — ამჯერად — საქმისთვის.

— ამას გარდა, მიზანშეწონილი იქნებოდა, მოგვეხდინა რაღაც თავისუფალი სახსრების ასიგნაცია გაუთვალისწინებელი ღონისძიებების განაღდებისთვის აგრეთვე იმისთვის, რაც საჭიროა აღჭურვილობისთვის და მისი დაუყოვნებლივი შეძენისათვის სავაჭრო წარმოების მეშვეობით.

— რამდენი ვალუტის გამოყოფის აუცილებლობას გულისხმობთ ასეთი შესყიდვებისთვის? — შეეკითხა სტალინი.

— ვფიქრობ, ასი-ორასი ათასი.

სტალინი კვლავ მივიდა ტელეფონთან და უთხრა მიქოიანს:

— დელეგაციის განკარგულებისთვის გამოყავით მილიონი, ხოლო როდესაც დახარჯავენ, გადაუგზავნეთ კიდევ მილიონი.

ა. ს. იაკოვლევი

აი, ასე წყვეტდა საკითხებს სტალინი — არ ეძუნწა იქ, სადაც ამას საქმის ინტერესები მოითხოვდა. და იმ ადამიანთა ინტერესები, ვინც ამ საქმეს აკეთებს.

და აი, კიდევ რამდენიმე მეტად დამახასიათებელი ისტორია. ბევრმა ადამიანმა დაწერა იმის შესახებ, რომ სტალინი პირადად ეხმარებოდა მსჯავრდებულებს და თავდებობასაც უწევდა მათ, ვისაც სერიოზული სასჯელი ელოდა ომის დროს. მეტად გასაოცარია და უცნაური, მოისმინოს ასეთი რამ დღევანდელმა ადამიანმა, რომელსაც ბევრი რამ წაუკითხავს „სისხლიან ტირანზე“, მაგრამ, როგორც ჩანს, სტალინი იყო მაშინდელი ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელებიდან ყველაზე ჰუმანური და ყურადღებიანი. ტირანთან დაკავშირებით კი... ჯერ კიდევ 1920-იანი წლების ბოლოს და 1930-იანი წლების დასაწყისში სტალინი მოსკოვში დადიოდა ერთი მცველის თანხლებით. მისი უახლოესი თანმებრძოლი კიროვი კი მოკლეს 1934 წელს, როდესაც მისი ერთადერთი (!) მცველი სადღაც „წავიდა“...

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ
(გაგრძელება იქნება)

ტერიტორიის შემდეგ ტროტუარის ოკუპაცია...

სერგეი ლავროვი აფხაზეთში

რუსეთმა 2,5 ჰექტარი მიწა სოხუმში, 2010 წელს – 99-წლიანი „იჯარით“ „აიღო“. „იჯარის“ ფასი წელიწადში, სიმბოლურად 1 რუსული რუბლია. ანუ, 99 წლის მანძილზე, სოხუმის ბიუჯეტში დაახლოებით – 4 ლარი შევა. გამოყოფილი მიწის გეოლოგიური შესწავლა რუსმა მშენებლებმა 2010 წელს, ხოლო მშენებლობა 2013 წელს დაიწყეს. მასშტაბური პროექტის ბიუჯეტი გასაიდუმლოებულია.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე - აფხაზეთში რუსეთის ახალი „საელჩოს“ კომპლექსი, რომელიც 18 აპრილის საღამოს სერგეი ლავროვმა ოფიციალურად გახსნა, საერთო ჯამში – 14 ათას კვადრატულ მეტრზეა **გადაჭიმული. რუსების „საელჩომ“ სოხუმის გულში, ზღვასთან ახლოს, ფრუნზესა და ლაკობას ქუჩების კუთხეში, ზედ 1985 წელს დამწვარი სასტუმრო „აფხაზეთის“ გვერდით დაიდო ბინა.** რთულ არქიტექტურულ კომპლექსს, რომელიც რუსეთის კუჩერენკოს სახელობის სამშენებლო კონსტრუქციების ინსტიტუტმა დააპროექტა, 11 ათასი კვადრატული მეტრი უკავია და სხვადასხვა დანიშნულების შვიდ ნაგებობასთან ერთად, დიდი საცურაო აუზიც აქვს. ოკუპირებულ სოხუმში, დამატებით 3 ათასი კვადრატული მეტრი მიწა, რუსეთის „ელჩის“ „რეზიდენციისთვის“ აფხაზებმა სინოპში, თბილისის გზატკეცილზე გამოყვეს, რომელსაც ახლა კოდორის „შოსეს“ ეძახიან. აქ რუსებმა სამსართულიანი კლასიკური სასახლე წამოჭიმეს.

რუსეთმა 2,5 ჰექტარი მიწა სოხუმში, 2010 წელს – 99-წლიანი „იჯარით“ „აიღო“. „იჯარის“ ფასი წელიწადში, სიმბოლურად 1 რუსული რუბლია. ანუ, 99 წლის მანძილზე, სოხუმის ბიუჯეტში დაახლოებით – 4 ლარი შევა. გამოყოფილი მიწის გეოლოგიური შესწავლა რუსმა მშენებლებმა 2010 წელს, ხოლო მშენებლობა 2013 წელს დაიწყეს. მასშტაბური პროექტის ბიუჯეტი გასაიდუმლოებულია.

ექსპერტების აზრით, ასეთი კომპლექსის ფასი 5 მილიარდ რუსულ რუბლს (90 მილიონ აშშ დოლარს) აღემატება. შეთანხმების მიხედვით, სოხუმში, რუსეთის სახსრებით აშენებული ყველა უძრავი ქონება რუსეთის სახელმწიფოს საკუთრებად ითვლება.

რუსეთის საელჩოს უზარმაზარი სასახლე აფხაზეთში

საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა დავით რაქვიაშვილმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჩასვლა ოკუპირებულ აფხაზეთში, კრემლის მხრიდან „ცინიკური პოლიტიკის“ გაგრძელებად შეაფასა: „ისტორიულად რუსული ცინიკური პოლიტიკა კავკასიაში ზუსტად ასეთია. დღეს ლავროვი და კარასინი იმ ქალაქის ქუჩებში სეირნობენ, საიდანაც ასობით და ათასობით ჩვენი თანამემულეა გამოყრილი. ამ ცინიზმთან შეგუება და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან მისი უგულებელყოფა დანამდვილებით ყველას მარცხი იქნება“.

რუსეთის „საელჩოს“ ახალი, გრანდიოზული შენობის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა თავად აფხაზურ საზოგადოებაშიც. სოციალურ ქსელებში ხშირად შეხვდებით მოსაზრებას, რომ რუსული „დიპლომატიური კომპლექსის“ მასშტაბებმა სოხუმის არქიტექტურა სერიოზულად დააზარალა.

აფხაზების განსაკუთრებული გაღიზიანება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ როგორც „საელჩოს“, ისე „რეზიდენციის“ მშენებლობის დროს, რუსებმა, მომიჯნავე ლაკობა-ფრუნზეს ქუჩისა და თბილისის გზატკეცილზე, სრულად მიითვისეს სოხუმელთა კუთვნილი ტროტუარი, სადაც დღემდე 1933 წელს გაშენებული ვაშინგტონიას ცნობილი პალმები ხარობს. რუსებმა იქ ჯერ ბეტონის ტუმბები ჩადგეს, შემდეგ დაცვის ჯიხური, ბოლოს კი ტროტუარი საერთოდ გადახნეს და ზედ ბალახი დათესეს. მწვავე პუბლიკაცია ამ თემაზე პირველმა „ნუჟნაია გაზეტამ“ გამოაქვეყნა, რომელსაც ცნობილი აფხაზი ჟურნალისტი იზიდა ჭანია ხელმძღვანელობს.

აფხაზური მედიის ცნობით, რუსები „საელჩოს“ უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, აპირებენ მთლიანად ჩაკეტონ ფრუნზეს ქუჩის დასაწყისი, რომელიც სოხუმის ცნობილ სანაპიროზე გადის. გააუქმონ ავტობუსის გაჩერება და მოსახლეობას აუკრძალონ ფრუნზედან, სანაპიროზე მდებარე რესტორან „ნართაში“ შესვლა და იქ ავტომანქანის პარკირება. ეს რესტორანი სოხუმში, რუსთაველის ქუჩაზე 1968 წლიდან მუშაობს.

რუსეთის უკანონო „საელჩო“ სოხუმში, აქამდე სანატორიუმ „სოხუმსა“ და სასტუმრო „იასიმინში“ იყო განთავსებული. ოკუპირებული სოხუმის „მთავარი არქიტექტორის“ მოადგილე თემურ ზანთარია ამბობს: „ჩვენ დავწერეთ წერილი რუსეთის ელჩის სემიონ გრიგორიევის სახელზე რომ უნდა აიღონ დაცვის ჯიხური. უნდა აიღონ გაზონი და გაზონის ნაცვლად ტროტუარი აღადგინონ. ფაქტიურად გამოდის, რომ ზღვის სანაპიროზე ამ ქუჩიდან გასასვლელი აღარ იქნება. სანაპიროზე რომ გახვიდე, პირდაპირ საავტომობილო გზაზე უნდა გაიარო. მაგრამ, მათ თქვეს, რომ ეს ყველაფერი უკვე გაკეთებულია და პროექტის შეცვლა აღარ მოხერხდება“.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჩასვლა ოკუპირებულ აფხაზეთში და იქ „საელჩოს“ გახსნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ და პრეზიდენტმა მკაცრად დაგმეს!

„RADIO VOICE OF AMERICA“ (აშშ)

რუსეთის ჰიბრიდული ომი მსოფლიოს წინააღმდეგ

ნაშრომი, RAND-ის კორპორაციის მკვლევრის აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებული ძალების კომიტეტის წინაშე წარდგენილი მოხსენების შემოკლებული ვარიანტია. კრისტოფერ ჩივისის ნაშრომი ეხება, რუსეთის ჰიბრიდული ომის დამახასიათებელი ნიშნების გამორკვევას, მიზნების ამოცნობასა და წინააღმდეგობის სტრატეგიების შემუშავებას.

რა არის რუსული „ჰიბრიდული ომი“ და რა შეიძლება გაკეთდეს მის წინააღმდეგ?!

ტერმინი „ჰიბრიდული ომი“ აღნიშნავს რუსეთის ძალაუფლებისა და გავლენის ინსტრუმენტების ფართო სპექტრს (უმეტესობა მათგანი არასამხედრო), რომლსაც ის იყენებს საზღვარგარეთ თავისი ეროვნული ინტერესის გასაძლიერებლად. რუსეთის ჰიბრიდული ომი რამდენიმე მიზანს ემსახურება: შეასუსტოს ნატო; შეარყიოს პრო-დასავლური მთავრობები; შექმნას ომის წინაპირობა; ტერიტორიის დაპყრობა; ეკონომიკური სარგებელი. დასავლეთთან ანტაგონიზმის ზრდის პარალელურად იზრდება ჰიბრიდული ომის მასშტაბიც.

გამოიყოფა რუსული ჰიბრიდული ომის სამი მახასიათებელი:

1. ჰიბრიდული ომი რუსეთს აძლევს საშუალებას, მინიმუმამდე დაიყვანოს სამხედრო ძალის გამოყენების აუცილებლობა, ამავდროულად მიაღწიოს თავის საგარეო პოლიტიკურ მიზნებს. კიბერ-თავდასხმები ამის კარგი და ნათელი მაგალითია.

2. ჰიბრიდული ომი შლის ტრადიციულ ზღვარს ომსა და მშვიდობას შორის. სხვადასხვა ინტენსივობით ჰიბრიდული ომი მუდმივად მიმდინარეობს.

3. ჰიბრიდული ომი მიზნად ისახავს სამიზნე ქვეყნის მოსახლეობაზე გავლენის მოხდენას სხვადასხვა საინფორმაციო ოპერაციებითა და გავლენის ჯგუფებით.

დღეის მდგომარეობით რუსული ჰიბრიდული ომი სულ მცირე, სამ მიზანს ისახავს:

1. ტერიტორიის დაპყრობა ღია სამხედრო დაპირისპირების გარეშე. ამის მაგალითია ყირიმის 2014 წლის ანექსია, როდესაც მწვანე უნიფორმაში გადაცმულმა სპეციალური დანიშნულების რუსულმა სამხედრო ძალებმა საინფორმაციო ომის ფონზე და ადგილობრივი გავლენის ჯგუფების დახმარებით უსისხლოდ დაიკავეს ყირიმი.

2. სამხედრო ჩარევისთვის წინაპირობების შექმნა. რუსეთმა შეიძლება გამოიყენოს ესტონეთში მცხოვრები რუსული უმცირესობა როგორც არეულობის მოსაწყობად. შემდეგ შექმნას ნარატივი, რომ ესტონეთის მთავრობა ეთნიკურ უმცირესობას ჩაგრავს და რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვის მიზნით განახორციელოს ინტერვენცია.

3. ჰიბრიდული საშუალებებით დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა. რუსეთი ცდილობს სამიზნე ქვეყნის შიდა პოლიტიკური სიტუაცია მის ეროვნული ინტერესის სასარგებლოდ გარდაქმნას.

ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტები

1. საინფორმაციო ოპერაციები. სამიზნე ქვეყანაში პოლიტიკური დისკურსის შესაცვლელად რუსეთი სტრატეგიულ კომუნიკაციებს იყენებს. ისეთი მედიასაშუალებები როგორიცაა სპუტნიკი და Russia Today ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებია. ასევე რუსეთის არსენალშია ინტერნეტ ტროლებისა და ე.წ. Fake News-ის (ყალბი საინფორმაციო სააგენტოები) გამოყენება ობიექტური სიმართლის ეჭვქვეშ დასაყენებლად.

2. ინტერნეტი. კრემლის ჰაკერების მზარდი არმია აღწევს დასავლეთის სახვადასხვა სისტემებში და მნიშვნელოვან ინფორმაციას იპარავს. ეს სტრატეგია გამოყენებულ იქნა 2016 წლის ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის დროს.

3. გავლენის ჯგუფები. ე.წ. Proxies არიან რუსული სახელმწიფოს დღის წესრიგთან აფილირებული ჯგუფები, რომელთაც რუსეთი მხარს უჭერს, როგორიცაა ულტრანაციონალისტ ბაიკერების ბანდა „ღამის მგლები“ ან საპროტესტო მოძრაობები ევროპის ქვეყნებში.

4. ეკონომიკური გავლენა. რუსეთი ეკონომიკურ ბერკეტს იყენებს, როგორც პირდაპირ ასევე არაპირდაპირ. ენერგობერკეტის, როგორც საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტის პირდაპირი გამოყენება მოხდა, როდესაც რუსეთმა უკრაინას გაზი გაუთიშა 2006 და

◎ კიდევ ერთი პრობლემა

ქართველი ქალები - კაცების „კონტრაბანდისტები“

ქართველებთან ფიქტიური ქორწინება - ევროპაში მოხვედრის მარტივი საშუალება?!

ვიზალიბერალიზაციას სიკეთესთან ერთად პრობლემებიც ახლავს. ქართულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ქართველებთან ფიქტიური ქორწინება ევროპაში მოხვედრის მარტივი საშუალებაა. განსაკუთრებით, ამ მეთოდს ის თურქები მიმართავენ, რომლებიც ევროპიდან დეპორტაციას დაექვემდებარნენ. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ თურქეთსა და ევროპას შორის დამოკიდებულება არცთუ ისე ხავერდოვანია.

სწორედ ამ მიზნით თურქები ქართველ ქალებს ეძებენ და მათთან 2000 $-ის სანაცვლოდ ფიქტიურ ხელმოწერას ცდილობენ, რაც გაცილებით იაფი მისაღწევია ქართველების სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით. სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან კი ბევრად მეტი თანხის გაღება უწევდათ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „დიასპორის ცენტრი საქართველოში“ თანათავმჯდომარე **ნინო ცხოიძე** ამბობს, რომ თურქ მამაკაცებს ქართველ ქალებთან ხელმოწერის გზით ევროპაში გასვლის საფუძველი აქვთ. ადრეც იყო ქართულ-თურქული ოჯახების შექმნის მცდელობა, რაც ზოგჯერ ფიქციას წარმოადგენდა.

თბილისის საკრებულოს დეპუტატი **სოსო მანჯავიძე** აცხადებს, რომ საქართველოში, სადაც ძალიან ღარიბი მოსახლეობაა, ფიქტიური ქორწინებების საფრთხე, ცხადია, იარსებებს. ძალიან ძნელია, ამას საკანონმდებლო დონეზე ებრძოლო, რადგან ეს სპეციფიკური სფეროა და რთულია, საქართველოში შემოსული ადამიანის ზრახვების გაკონტროლება.

„ვერანაირი შეზღუდვა ვერ დაწესდება თურქებზე. როგორ უნდა დაწესდეს შეზღუდვა, როცა ადამიანი ირწმუნება, რომ ის ქორწინდება ქართველ ქალზე? თუმცა კონტროლი გარკვეულ დონემდე მიღწევადია. თუ ასეთი შემთხვევები გარკვეულ ზღვარს მიაღწევს და მათი მხრიდან ფიქტიური ქორწინებებიც გახშირდება, მაშინ ამით სამართალდამცავი ორგანოები უნდა ინტერესდებოდნენ“, — აღნიშნა სოსო მანჯავიძემ.

დემოგრაფი **ანზორ სახვაძე** არ გამორიცხავს, იქნებ, თურქებს საქართველოს მოქალაქეობის მიღება უფრო უნდოდეთ, ვიდრე ევროპაში გადასვლა? ევროპაში თურქები ხომ ისედაც ძალიან ბევრნი არიან, მათ შორის, გერმანიაშიც, სადაც 70-იანი წლებიდან დაიწყეს ემიგრაცია. ასე რომ, ევროპაში გადასვლის პრობლემა მათ არ უნდა ჰქონდეთ.

რაც შეეხება ევროპიდან დეპორტირებულ თურქებს, ანზორ სახვაძის აზრით, ეს ერთეული შემთხვევები იქნება და საეჭვოა, მასობრივი ხასიათი მიიღოს ქართველ ქალებთან ფიქტიური ქორწინების თვალსაზრისით.

„მთლიანობაში, დეპორტირებული თურქი რამდენი იქნება? ვთქვათ, 10-20-30, მაქსიმუმ-50, თანაც სუყველა დაუოჯახებლები იქნებიან? ამიტომ ძნელად სავარაუდოა, ქართველ ქალებზე თურქების ფიქტიური დაქორწინების სურვილმა მასობრივი ხასითი მიიღოს. მართალია, თურქებს რჯული აძლევთ ოთხი ცოლის ყოლის უფლებას, მაგრამ ასე გავრცელებული მრავალცოლიანობა იქ არ არის. მხოლოდ შეძლებულებს შეუძლიათ, თავს ნება მისცენ და მეორე, მესამე, მეოთხე ცოლი მოიყვანონ“, — აღნიშნა ანზორ სახვაძემ.

ადვოკატი **ციცინო ცხვედიანი** არ იზიარებს აზრს, რომ საქართველოში მაინცდამაინც გახშირებულია ფიქტიური ქორწინებები. ამას სპეციალური კვლევა სჭირდება. უცხოელებს ორი წელი მაინც ესაჭიროებათ, რომ საქართველოს მოქალაქეობა მიიღონ. ცხადია, მაშინვე ვერ წავლენ ევროპაში. ორი წლის შემდეგ კი თუ მიიღებენ საქართველოს მოქალაქეობას, უცხოეთში წასვლა არ გაუჭირდებათ.

მანანა ნოზაძე

ხე-ტყე კვლავ უკანონოდ იჩეხება

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ლებარდეს ხეობაში, სოფელ კურზუში, წიფლისა და ფიჭვის სახეობის მორების უკანონო ტრანსპორტირების ფაქტი გამოავლინეს. მოქალაქეები გია და მამუკა ნაჭყებიები, რომლებსაც სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე მოძრავი სატვირთო ავტომანქანით გადაჰქონდათ მორები, არ დაემორჩილნენ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების მოთხოვნას, შეეჩერებინათ სატრანსპორტო საშუალება, რის შემდეგაც მათ გამოედევნენ.

სამართალდამრღვევები მხოლოდ საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოში შეღწევის შემდეგ გადმოვიდნენ ავტომანქანიდან და სხვადასხვა ბლაგვი საგნებით შეიარაღებულებმა წინააღმდეგობა გაუწიეს როგორც დეპარტამენტის, ასევე ადგილზე მისული კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებს.

ფაქტი შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. სამართალდამრღვევთა მიმართ შედგა ასევე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, უფლებამოსილი პირისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლის გამო, რაც 5000 ლარის ოდენობით საჯარიმო სანქციას ითვალისწინებს.

შავ ზღვაში პანამის დროშის ქვეშ მცურავი თურქული გემი ჩაიძირა!

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო შავ ზღვაში სატვირთო გემის ჩაძირვის შესახებ განცხადებას ავრცელებს. რუსეთის ზღვისა და საზღვაო ტრანსპორტის ფედერალური ადმინისტრაციის ინფორმაციაზე დაყრდნობით, უწყებაში განმარტავენ, რომ ეკიპაჟის წევრებს შორის ცხრა რუსი, ორი უკრაინიელი და საქართველოს ერთი მოქალაქეა.

„პანამის დროშის სატვირთო გემი Geroi Arsenala (8727604) შავ ზღვაში ჩაიძირა 2017 წლის 19 აპრილს გამთენიისას. მიმდინარეობს მასშტაბური სამაშველო ოპერაცია, სამაშველო სამსახურის ინფორმაციით, ეკიპაჟის რამდენიმე წევრი არის უგზო-უკვლოდ დაკარგული. სამაშველო ოპერაციას აწარმოებს რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტრო, ჩართულია 13 ერთეული მცურავი საშუალება.

ნოვოროსიისკის სამაშველო სამსახურის მიერ დადასტურებულია, რომ ეკიპაჟის ერთი წევრი, უკრაინის მოქალაქე არის გადარჩენილი, ხოლო ეკიპაჟის დანარჩენი წევრების ძებნა მიმდინარეობს. რუსეთის ზღვისა და საზღვაო ტრანსპორტის ფედერალური ადმინისტრაციის ინფორმაციაზე დაყრდნობით ეკიპაჟის წევრებს შორის არიან 9 რუსი, 2 უკრაინელი და საქართველოს 1 მოქალაქე, რომელიც ბოცმანია.

გემი 2017 წლის 4 აპრილს იმყოფებოდა საქართველოში, კერძოდ, ფოთის ნავსადგურში და მისი ტექნიკური გამართულობა ეჭვს არ იწვევდა. გემი თურქული კომპანიის Gunes Denizcilik Nakliyat ve Dis Ticaret Limited Sirketi (Gunes Shipping & Trading Company Limited) საკუთრებაა“, — ნათქვამია საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს განცხადებაში.

2009 წელს. არაპირდაპირი ეკონომიკური გავლენა გამოიხატება „გაზპრომის“ მიერ ევროპის გაზგამანაწილებელ ქსელში ინვესტიციების ჩადებით, რაც რუსეთს საშუალებას აძლევს ეკონომიკური შანტაჟის გზით გაზზე დამოკიდებული ქვეყნების პოლიტიკაზე გავლენა მოახდინოს.

5. ფარული ღონისძიებები. რუსეთი ტრადიციული შპიონაჟის ქსელის განახლებას ცდილობს. სავარაუდოა, რომ მონტენეგროს ნატოს მომხრე მთავრობის ჩამოგდების მცდელობის უკან რუსული სპეცსამსახურები იდგენენ;

6. პოლიტიკური გავლენა. ტრადიციული დიპლომატიის გამოყენება რუსეთისთვის სასურველი პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების მხარდასაჭერად.

რუსული ჰიბრიდული ომის სამიზნე

ამერიკის არჩევნების შემდეგ დიდია ალბათობა, რომ რუსეთი შეეცდება პრო-ამერიკული და ევროკავშირის მხარდამჭერი პარტიების დასუსტებას საფრანგეთში, იტალიასა და გერმანიაში. 2017 წლის შემოდგომაზე გერმანიაში საპარლამენტო არჩევნებია. რუსეთი შეეცდება ანგელა მერკელის მაგივრად, გერმანიის კანცლერი რუსეთისადმი უფრო ლოიალურად განწყობილი კანდიდატი გახდეს. საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე ულტრამემარჯვენე „ეროვნულ ფრონტს“ ფინანსური მხარდაჭერა მიუღია რუსული ბანკისგან. 2018 წელს იტალიაში არჩევნებია. არსებობს ვარაუდი, რომ რუსეთი მონაწილეობდა გავლენის ოპერაციაში, რომელმაც იტალიის ზომიერ მთავრობას ნდობის მანდატი გამოაცალა.

დასავლეთ ბალკანეთი რუსული ჰიბრიდული სტრატეგიის სამიზნედ ყალიბდება. რუსეთი ცდილობს, გამოიყენოს არსებული უკმაყოფილება: ეკონომიკური სტაგნაცია, ევროკავშირში გაწევრიანების უიმედობა, ეთნიკური დაძაბულობა და კულტურული კავშირები რუსეთთან. რუსეთი მხარს უჭერს რესპუბლიკა სერბსკას სეპარატისტ ლიდერ მილორად დოდიკს და სერბულ სეპარატიზმს ჩრდილოეთ კოსოვოში.

ცენტრალურ ევროპაში: უნგრეთი, ჩეხეთი და სლოვაკეთი, რუსეთი ძირითადად ენერგობერკეტს იყენებს, თუმცა არამარტო. მიგრანტთა კრიზისმა და ანტიევროპული განწყობების ზრდამ გზა გაუხსნა რუსულ გავლენას.

თანამემამულეთა მხარდამჭერი პოლიტიკის საბაბით რუსეთი ეხმარება პრორუსულ ჯგუფებს ბალტიის ქვეყნებში.

რუსეთის გავლენის ოპერაციები ევროპაში არახალია. საბჭოთა დროს სსრკ აფინანსებდა სხვადასხვა კომუნისტურ პარტიებსა თუ ანტიბირთვულ მოძრაობებს.

როგორ ვებრძოლოთ რუსულ ჰიბრიდულ ომს?

1. ძლიერი კოორდინაცია სხვადასხვა ამერიკულ უწყებას შორის. რუსული საფრთხისთვის წინააღმდეგობის გაწევა მოითხოვს ხაზინის დეპარტამენტის, თავდაცვის და სახელმწიფო დეპარტამენტებისა და სპეცსამსახურების მჭიდრო თანამშრომლობას;

2. ევროპაში სადაზვერვო საქმიანობისთვის საჭირო რესურსების გამოყოფა. აშშ-ს უნდა ჰქონდეს შესაბამისი რესურსები, რომ ევროპაში არსებულ საფრთხეს გაუმკლავდეს. საჭიროა რუსული ჰიბრიდული ქმედებების გამოკვლევა. აუცილებელია მოკავშირეებთან ინფორმაციის გაცვლის გაგრძელება;

3. გამჭვირვალობისა და ანტიკორუფციული ღონისძიებების მხარდაჭერა. რუსულ გავლენას აძლიერებს კორუფციის მაღალი დონე და გამჭვირვალობის დაბალი ხარისხი. აუცილებელია ევროკავშირის ანტიკორუფციული ზომების მხარდაჭერა ფინანსურადაც USAID-ის მეშვეობით;

4. ბალკანეთსა და უკრაინაში შიდაუსაფრთხოების აპარატის რეფორმისა და თავდაცვითი ინსტიტუციების მშენებლობის მხარდაჭერა;

5. რუსეთის გავლენის ოპერაციების საწინააღმდეგო სტრატეგიის შემუშავება. ცრუ ინფორმაციის გამოაშკარავება და Russia Today-ის დისკრედიტაცია. სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობა დეზინფორმაციის კამპანიებთან საბრძოლველად;

6. აშშ-ის სპეციალური ოპერატიული ძალების ეფექტიანი გამოყენება ევროპის არეალში, ვინაიდან ევროპის ვითარება განსხვავდება სირიისა და ერაყისაგან.

7. ჰიბრიდული ომის დაძლევის ევროპული მცდელობების მხარდაჭერა. ფინეთში, ლატვიასა და ესტონეთში გახსნილი ცენტრების მხარდაჭერა და ევროპის კიბერთავდაცვის გაძლიერება.

იოსებ ერისთავი,
http://damoukidebloba.com



◎ ძიუდო

ევროპა ქართული ფინალით

სანკტ-პეტერბურგში დამთავრდა ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის თასის გათამაშება, რომელშიც 17 ქვეყნის 300-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. ტურნირში წარმატებით იასპარეზა საქართველოს ნაკრებმა: ჩვენმა მოჭიდავეებმა 8 მედალი მოიპოვეს, მათ შორის – ერთი ოქროსი, ხუთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოსი, და ვაჟთა შორის არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილი დაიკავეს.

საგულისხმოა, რომ 8 წონითი კატეგორიიდან ჩვენმა ბიჭებმა 5 გადამწყვეტ ორთაბრძოლაში მიიღეს მონაწილეობა. 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქომაგებმა ქართული ფინალი იხილეს – შალვა გაზაშვილმა ბაგრატ ნინიაშვილი დაამარცხა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ნინიაშვილს „ვერცხლი“ ერგო. ჩემპიონობამდე თითო მოგება დააკლდათ ჯაბა პაპინაშვილს (55 კგ), ტატო გრიგალაშვილს (73 კგ), ლუკა მაისურაძესა (81 კგ) და ნიკა სიდამონიძეს (90 კგ), რომლებმაც მეორე ადგილები დაიკავეს, ნიკა ალხაზაშვილი (55 კგ) და გიგა გიგაური (73 კგ) კი მესამე ადგილებს დასჯერდნენ.

გივი გაგუა

◎ ლეგიონერი

მოსკოვს ქართველის არ სჯერა

21 წუთში მოგროვებული 12 ქულა – ასეთია თორნიკე შენგელიას ღირსეული პირადი მონაგარი, რომელიც ევროლიგის პირველი მეოთხედფინალური რაუნდის მოსაგებად საკმარისი არ აღმოჩნდა.

ცსკა – „ბასკონია“ 98:90

მასპინძლები დებიუტშივე სოლიდური უპირატესობით დაწინაურდნენ – 21:10, რითაც ყველას აგრძნობინეს, რომ ტყუილად როდი ითვლებიან ტურნირის უმთავრეს ფავორიტებად.

სწორედ ამ დროს ჩაერთო თამაშში ჩვენი თანამემამულე, რასაც ბძროლის ხასიათში გარდატეხის შეტანა მოჰყვა. კატათაგვობანა შეხვედრის ბოლომდე გაგრძელდა – საფინალო სასტვენამდე 1 წუთით ადრე ბასკები მრისხანე მეტოქეს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩებოდნენ, მაგრამ დასკვნითი აკორდისთვის ძალები აღარ ეყოთ. ასე რომ, საპლეიოფო სერიაში სამ მოგებამდე ანგარიში არმიელებმა გახსნეს 1:0.

„პანათინაიკოსი“ – „ფენერბახჩე“ 58:71.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ვაი მსაჯისგან!

დიდი ომის გმირები და ანტიგმირები

როგორც დიასახლისი დააქცევს ან ააშენებს ოჯახს, ისეა მსაჯის საქმეც – ერთი სადავო გადაწყვეტილება და შეიძლება საფეხბურთო სპექტაკლი გაფერმკრთალდეს.

არის შემთხვევები, როცა შაოსნის ესა თუ ის ვერდიქტი ასე თუ ისე ასატანია, მაგრამ შეცდომათა ის ბუკეტი, რომელიც უნგრელ არბიტრთა ბრიგადამ ვიქტორ კაშაის თავკაცობით „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დაუშვა, ყოველგვარ დასაშვებ ნორმას სცილდება.

„რეალი“ – „ბაიერნი“ 4:2

(დამატებით დროში. ძირითადი დრო 1:2)

პირველი მატჩი 2:1

გოლები: რონალდუ (3), ასენსიო; ლევანდოვსკი (პენალტით), სერხიო რამოსი (საკუთარ კარში).

დავიწყოთ იმით, რომ ღირსეულ მეტოქეთა ღირსეული ბრძოლა დაუვიწყარ სანახაობად დაამახსოვრდება გულშემატკივარს. მით უფრო დასანანია, რომ ის ხიბლი, რასაც ფეხბურთის დიდოსტატები თითქმის მთელი ძირითადი დროის განმავლობაში გვანიჭებდნენ, ჩამოურეცხავ ლაქად გვიქცია თემიდის იმ მადიარმა მსახურმა, რომლის ბიოგრაფიასაც ოლიმპიადის ფინალურ მატჩსა და ჩემპიონთა ლიგაში იმავე „ბაიერნის“ მონაწილეობით ადრე გამართულ შეხვედრაში დაშვებული არანაკლებ სკანდალური შეცდომები „ამშვენებს“. ჰოდა, გესობაში დატოვა (სხვათა შორის, პირველ რაუნდშიც ბავარიელები მინდორზე ათნი დარჩნენ, ოღონდ მაშინ ხავი მარტინესი სამართლიანად დასაჯეს), არადა მასპინძელთა საყრდენი ნახევარმცველი კაზემირო, რომელსაც ერთი გაფრთხილება უკვე ჰქონდა, მინიმუმ სამჯერ იმსახურებდა გაძევებას.

ანდა დამატებითი დრო ავიღოთ, როცა 104-ე წუთზე გვერდით მსაჯს ალმის აღმართვა დაეზარა და რონალდუმ თამაშგარედან გატანილი გოლით დააწინაურა „სამეფო კლუბი“.

ისე, ზინედინ ზიდანის გუნდმა ძეგლი ვიდალსაც უნდა დაუდგას. გემახსოვრებათ, ერთი კვირის წინათ 1:0-ზე მან პენალტი რომ გააფუჭა, რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა კიდეც იმ თამაშის შედეგი. არანაკლებ „ივაჟკაცა“ ჩილელმა სტუმრად, სადაც 2:1-ზე მეტოქის დასამარება შეეძლო, მაგრამ რობენის დიდებული გადაცემის შემდეგ ბურთი ღრუბლებში გაუშვა. როგორც აღმოჩნდა, ეს იყო მატჩ-რევანშის კულმინაციური მომენტი, რადგან, როგორც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, მალევე იგი მინდვრიდან მიაბრძანეს.

და ბოლოს: რონალდუს ჩემპიონთა ლიგაში 100 გოლი დაუგროვდა, სერხიო რამოსმა კი, რომელსაც ავტოგოლის გამო ცოტა დააკლდა ანტიგმირობამდე, ასევე მე-100 შეხვედრა ჩაატარა ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირში.

კითხებით – ასეთი ცოდვებით დამძიმებული ცივსისხლიანი საფეხბურთო ჯალათი როდემდე უნდა სარგებლობდეს უეფას მაღალჩინოსანთა ნდობით? ცნობისათვის: ვიქტორ კაშაიმ მსაჯობა 15(!) წლისამ დაიწყო.

საუბარი ფუჭი რომ არ გამოგვივიდეს, მხოლოდ რამდენიმე საკვანძო ეპიზოდზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას, რადგან პირდაპირი ტელერეპორტაჟის დროს ისედაც ყველამ ყველაფერი საკუთარი თვალით იხილა.

84-ე წუთზე არტურო ვიდალმა არარსებული ჯარიმის გამო მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და პარტნიორები რიცხობრივ უმცირესობაში დარჩნენ. რაც შეეხება კარლო ანჩელოტის შეგირდებს, მათ დაამსხვრიეს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მასპინძელთა დაუმარცხებლობის მითი და თავაწეულნი დაბრუნდნენ სამშობლოში, თანაც ღირსეული გაცილება მოუწყვეს. საერთაშორისო სარბიელიდან ფილიპ ლამსა და ხაბი ალონსოს, რომლებიც წლევანდელი სეზონის შემდეგ ასრულებენ შთამბეჭდავ საფეხბურთო კარიერას.

„ლესტერი“ – „ატლეტიკო“ 1:1

პირველი მატჩი 0:1

გოლები: ვარდი; საული.

ამრიგად, ნახევარფინალისტთა კვარტეტის ნახევარს ესპანეთის დედაქალაქი წარმოადგენს.

გიორგი შოთაძე

◎ რაც დათესა...

შენც, კაპიტანო?!

თბილისის „დინამოს“ თავკაცად კახი კაჭარავას დანიშვნა სასიკეთოდ აისახა ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბის სატურნირო მდგომარეობაზე – „თეთრცისფრები“ უკვე საქართველოს XXIX ჩემპიონატის ეროვნული ლიგის ერთპიროვნული ლიდერები არიან.

ასეთი პროგრესი, ბუნებრივია, მიუღწეველი იქნებოდა იმ ბრძოლის გარეშე, რომელიც დინამოელთა მესვეურებმა დისციპლინის განსამტკიცებლად გამოაცხადეს.

უკვე გაუწყეთ, რომ წინასასეზონო შეკრების დროს ერთგვარი პროფილაქტიკური ზომები გატარდა საბა ლობჟანიძის მიმართ, რამაც უნიჭიერეს ნახევარმცველზე დადებითად იმოქმედა.

და აი, კლუბის ხელმძღვანელობის მიერ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი, რომელიც გუნდის კაპიტან გიორგი პაპუნაშვილის მოსარჯულებლად გადაიდგა.

ქობულეთის „შუქურასთან“ ამასწინანდელი მატჩის 71-ე წუთზე შეცვლილმა ყმაწვილმა მწვრთნელის გადაწყვეტილება იუკადრისა და კაპიტნის სამკლავური დემონსტრაციულად მოისროლა, რითაც შეურაცხყოფა მიაყენა დინამოელთა ყველა თაობის ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს.

ასე რომ, სავსებით დამსახურებულია მისი ჩამოშორება როგორც კაპიტნობიდან, ისე პირველ გუნდთან ერთად ვარჯიშისაგან.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

ბიანკა პორნოს უმიზნებს

სკანდალური ინგლისელი ფეხბურთელის პოლ გასკოინის ქალიშვილი ბიანკა გასკოინი უკვე რამდენიმე წელია, რაც ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და თავაშვებული ფოტომოდელია, რომლის ეპატაჟურობაც ყოველგვარ უცნაურ ფანტაზიასა და წარმოდგენებს სცილდება.

როგორც აღმოჩნდა, პოლის პირმშო ამ წარმატებაზე და პოპულარობის ხარისხზე არ ჩერდება და ახალ-ახალი მწვერვალების დაპყრობას ესწრაფვის. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ამ ოხერ ბიანკას მთლად აუღია თავზე ხელი და აპირებს, არც მეტი, არც ნაკლები, პორნოფილმებში მიიღოს მონაწილეობა.

თავად ბიანკა გასკოინი ამ გადაწყვეტილებას იმით ხსნის, რომ მას უბრალოდ სურს ცხოვრებაში ყველაფერი გამოსცადოს და ამ ყველაფერში მავან ოყლაყებთან თანაყოფაც იგულისხმება. რაც შეეხება პოლ გასკოინს, მას უკვე კარგა ხანია ხელი აქვს ჩაქნეული თავაშვებულ ქალიშვილზე და ეს ამბავი მისთვის დიდი სიურპრიზი შეიძლება არც იყოს.

როსტომ რაჭველიშვილი

სარკოფაგში მოთავსებული მდინარეები

მდინარეები უნდა სუნთქავდეს, მათი გადახურვა, შენობების ჩადგმა და ზედ მიწის დაყრა არ შეიძლება

თბილისში მდინარეების კალაპოტები შენობებისგან გათავისუფლდება და რეკრეაციულ ზონებად მოეწყობა. კალაპოტების გამწვანება ქალაქში სუფთა ჰაერის გავრცელების შესაძლებლობას შექმნის.

როგორც მიწათსარგებლობის გენგეგმაზე მომუშავე ჯგუფის თანათავმჯდომარე მერაბ ბოლქვაძე ამბობს, ეს კალაპოტები ძირითადად ვერეს ხეობას, დუქნის ხევს (ლილო), გლდანის ხევსა და წოწორას ხევს (დიღომი) მოიცავს.

„ყველა დახურული მდინარე უნდა გაიხსნას, კალაპოტები ლანდშაფტური სივრცეების სახით მოეწყოს, მდინარეთა კასკადი პატარა წყაროების სახით გაკეთდეს, მდინარეები აუცილებლად უნდა სუნთქავდეს, მათი გადახურვა, შენობების ჩადგმა და ზედ მიწის დაყრა არ შეიძლება. გვახსოვდეს 13 ივნისის მაგალითი“, — ამბობს მერაბ ბოლქვაძე და დასძენს, რომ ეს არ ნიშნავს, შენობებს დღესვე მივადგეთ და დავანგრიოთ. უბრალოდ, ქალაქს ზოგადი ხედვა უნდა ჰქონდეს, რომ ასეთ ადგილებში არაფერი აშენდეს, ხოლო რა შეცდომაც დაშვებულია, გამოსწორდეს, ვინაიდან ნიაღვრის ან ნალექის წამოსვლის შემთხვევაში, საფრთხის ქვეშ სწორედ მდინარის კალაპოტში მდებარე სახლები აღმოჩნდება.

ქალაქგეგმარების სპეციალისტი **ზურაბ ბაქრაძე** For.ge-სთან საუბარში აღნიშნავს, რომ თბილისის მდინარეების კალაპოტის შენობებისგან გათავისუფლება ძალზე ზოგადი, მაგრამ, ამავდროულად, სწორი მოსაზრებაა. ქალაქში რაც უფრო მეტი ღია მდინარე იქნება, მით უკეთესი. თუმცა ასეთი საკითხების გახმიანება ადვილია, განხორციელება ძნელი. ამიტომ, თუ იზიარებენ იმ აზრს, რომ ვერეს ხეობა მართლაც გასასუფთავებელია, უპირველესად უნდა დაიწყონ ვერეს ხეობაში ამ რამდენიმე წლის წინათ აშენებული მაგისტრალის გაუქმება.

„რას აკეთებს მერაბ ბოლქვაძე? ახალი მიწათსარგებლობის გეგმით გააუქმა მაგისტრალი ვერეს ხეობაში? სამწუხაროდ, ხალხი დაიხოცა, უბედურება მოხდა, მაგრამ ბუნებამ სამართლიანად დაგვინგრია ეს ადგილი. რაც ადამიანებმა სისულელე გააკეთეს, ის მდინარემ გამოასწორა. ამ დროს კი ადამიანებმა კიდევ მეორე სისულელე ზედ დაამატეს და ის გზა ისევ აღადგინეს; ამიტომ მერაბ ბოლქვაძის ნათქვამი მხოლოდ ლამაზი სიტყვებია. ვერეს ხეობაში მაგისტრალის გაუქმება ადვილად შეიძლება. მაგისტრალის აშენების მერეც გზა არ განტვირთულა, რა მდგომარეობაც იყო ჭავჭავაძის პროსპექტზე, რომლის დუბლადაც ეს მაგისტრალი ააშენეს, იგივე მდგომარეობაა; გზის მშენებლობა არაფერს შველის, თანაც, გზას ხუთი წლით ვინ აშენებს? ათწლიანი ეფექტი მაინც ხომ უნდა ჰქონდეს, თუ 50-წლიანი არა? 10 წელიც არ არის გასული და მაგისტრალი უკვე ვერ შველის ჭავჭავაძის პროსპექტს. გამოდის, ის ხეობაც დაიკარგა და ჭავჭავაძესაც არაფერი ეშველა. სინამდვილეში, უნდა გაეტარებინათ ღონისძიებები ინდივიდუალური ტრანსპორტის შესამცირებლად. ყველა ევროპული ქალაქი ამ მიმართულებით ვითარდება. ისინი გზებს კი არ აშენებენ, არამედ ამცირებენ ინდივიდუალურ ტრანსპორტს და ზრდიან საზოგადოებრივ ტრანსპორტს, ველოსიპედს და ა.შ. მარტო ქართული მენტალიტეტი ვერ იტანს ამას, ასეთივე მენტალიტეტი აქვს ქალაქისა და ცენტრალურ მმართველობას. ფულს აკეთებენ ახალი მანქანების შემოზიდვაში, საოცარი ტემპით იზრდება მანქანების რაოდენობა“, — განმარტავს ზურაბ ბაქრაძე.

რაც შეეხება სხვა მდინარეების ხეობებს, ქალაქგეგმარების სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ყოველ მათგანში სხვადასხვანაირი მდგომარეობაა და მათ კონკრეტული შესწავლა სჭირდებათ. უნდა დაიდოს გეგმა, თუ როგორ მოხდება იქ მცხოვრები ადამიანების დაკმაყოფილება.დაუშვებელია, რაც გააკეთეს აბანოთუბანში, საიდანაც ხალხი გაასახლეს და ე.წ. ინტელიგენციას დაურიგეს ბინები შესანიშნავ აივნიან სახლებში. კიდევ უფრო დიდი საშინელება გააკეთა საბჭოეთმა, როცა გერმანელები საქართველოდან ყაზახეთში გადაასახლა.

საქართველოს ეკოლოგიური აკადემიის წევრი, პროფესორი **თემურ ვეკუა** For.ge-სთან საუბარში აღნიშნავს, რომ მდინარეების კალაპოტი ბუნებრივი სახით უნდა შენარჩუნდეს და არავითარი სამშენებლო, არქიტექტურული ჩარევა თუ სანიტარიული ნივთიერებების ჩაშვება არ შეიძლება. თბილისი ფაქიზი და ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში თვითონვე არეგულირებდა თავის საცხოვრებელ გარემოს. ასეთი უაზრო ურბანიზაცია, რომელიც ახლა მიმდინარეობს, უარყოფით შედეგს მალე გამოიღებს. როცა ძველი კომუნიკაციები გამოვა მწყობრიდან და ყველაფერი მდინარეებში ჩაედინება, ეს კატასტროფა იქნება. ამიტომ საერთოდ არ უნდა განიხილებოდეს მდინარის კალაპოტებში მშენებლობის უაზრო პროექტები. მით უმეტეს, თბილისში ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობა ისეთია, რომ მომავალი თაობა უკვე განწირულია.



„ვინც გასცა მდინარის ჭალებში მოსახლეობის ჩასახლების ნებართვები, სწორედ მათ უნდა აუშენონ ამ ადამიანებს ახალი სახლები და სხვაგან ჩასახლონ. არც ერთი თავმოყვარე პიროვნება იქ ჩასახლებაზე ნებართვას არ გასცემდა. ერთი კაცის დაღუპვად არ ღირს ეს კორპუსები. 13 ივნისს ბავშვები დაიხრჩვნენ. ბოლომდე არ არის გამოძიებული, რაც მოხდა. ერთ-ერთი მიზეზი სვანიძის ქუჩაზე მდებარე ძაღლების თავშესაფარიც იყო, ის პიროვნება ახლა გამოდის და ზღაპრებს ყვება. ჯერ ხალხს მივხედოთ და ძაღლების პრობლემა ადვილად მოსაგვარებელია. პლუს ამას, იქ მანქანები, კამაზები, გენერატორები იყო ჩახერგილი. მათ გადაკეტეს წყლის მიმოქცევა და ტრაგედიამაც არ დააყოვნა“, — აცხადებს თემურ ვეკუა, რომლის აზრითაც, სანამ მდინარეების კალაპოტში ჩასახლებული მოსახლეობის აყრაზე ვიფიქრებთ, ჯერ უნდა მოვახდინოთ ამ მდინარეების კალაპოტების გაკეთილშობილება. ეს ნიშნავს, რომ უბედურება თუ მოხდება, მდინარეებს მეტი გამტარიანობა უნდა ჰქონდეს.

მანანა მდინარაძე

სანთელი

მამია სულაბერიძე

საქართველოს კავშირგაბმულობის სისტემის ძველი თაობის რიგებს გამოაკლდა კიდევ ერთი ღვაწლმოსილი და დამსახურებული მუშაკი, შესანიშნავი ადამიანი და მეგობარი მამია სულაბერიძე.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, 6 ორდენისა და მედლის მფლობელი (მათ შორის, ღირსებისა და შრომის წითელი დროშის ორდენები) მამია სულაბერიძე 62 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

აქედან, 40 წელი იყო კავშირგაბმულობის სამინისტროს ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი: საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს, ეკონომიკური სამმართველოს უფროსი და სხვა. აქედან გამომდინარე, დიდია მისი დამსახურება დარგის განვითარებასა და წინსვლაში. იყო მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და წიგნის ავტორი.

სიცოცხლის ბოლო დღემდე განაგრძობდა აქტიურ შემოქმედებით მუშაობას.

ბატონი მამია იყო კარგი მეოჯახე — შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუა; სამეგობრო და სამეზობლო წრეებში გამორჩეული პიროვნება.

ღმერთმა ნათელში ამოყოფს მისი სული და სასუფეველი დაუმკვიდროს ცათა შინა.

საქართველოს ტელეკომუნიკაციებისა და ტექნოლოგიების — „ტ & ტ“ ჯგუფის სახელით:

ფრიდონ ინჯია, ავთანდილ იაშვილი, თემურ ღოღობერიძე, თემურ ბერიშვილი, კოტე სამუშია, ვახტანგ თოდუა, დემურ ინჯია, შოთა კოლელიშვილი, ნუგზარ კვიკვინია, ვახტანგ ამაშუკელი, რემი გველესიანი, ზურაბ ზუმბაძე, ტარიელ იაშვილი, ავთანდილ დარახველიძე, მერაბ თოხაძე, იულონ სამადალაშვილი.

სანთელი

საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფესიული კავშირი და სს „სილქნეტის“ გაერთიანებული პროფორგანიზაცია მწუხარებას გამოთქვამენ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის, ბატონი ირაკლი პეტრიაშვილის მამის

ლერი პეტრიაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფესიული კავშირი და სს „სილქნეტის“ გაერთიანებული პროფორგანიზაცია იუწყებიან, რომ პროფესიული კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს, ქალბატონ ნატო ხულორდავას გარდაეცვალა ძმა

თეიმურაზ ხულორდავა

და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

ამოღებულია დიდი ოდენობით ნარკოტიკი



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1974 წელს დაბადებული ქ.მ. და 1974 წელს დაბადებული კ.ნ. თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ქ.მ.-ს პირადი ჩხრეკისას, 4 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი ამოიღეს. ბრალდებულების საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას კი ამოღებულია 36 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი და 19 აბი „მეტადონი“.

ძლიერი ქარი ბათუმში



უამინდობაა ბათუმში — ქარმა ბენზეს დასახლებაში დევნილების საცხოვრებელ სახლს სახურავი გადახადა, რომელიც ეზოში გაჩერებულ მანქანებს დაეცა. დაზიანებულია 5 ავტომობილი.

მანქანების მფლობელები დახმარებას ითხოვენ.

ქარმა ქალაქში ხეებიც წააქცია, დააზიანა ავტობუსის გაჩერება და მშენებარე კორპუსების უსაფრთხოების ღობეები.

პირადობის მოწმობები მიიღეთ უფასოდ!

ID ბარათის უფასოდ მიღების აქცია 29 აპრილს მთავრდება. ახალი პირადობის მოწმობის უფასოდ მიღების მიზნით გამოცხადებული აქციებით ამ დრომდე 35 000-მდე ადამიანმა ისარგებლა.

აქციის დასრულებამდე რჩება ათი დღე, 29 აპრილამდე შეუძლიათ, პირებს რომლებიც არ ფლობენ ახალ მოწმობებს, უფასოდ აიღონ ის. აქციის მიზანია ზუსტი საარჩევნო სიის ფორმირება. რაც უფრო მეტი მოქალაქე ფლობს ბიომეტრიულ დოკუმენტს, მით უფრო დაცულია პრინციპი? „ერთი ამომრჩეველი – ერთი ხმა!“ სწორედ ამ მიზნით იუსტიციის სამინისტრომ ბოლო 4 წლის განმავლობაში 24 აქცია გამოაცხადა. შედეგად, 1 200 000-ზე მეტმა მოქალაქემ პირადობის მოწმობა უფასოდ ან შეღავათიანი ფასით მიიღო. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ ყველაზე ზუსტი საარჩევნო სია ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო სიის დახვეწის პროექტის ფარგლებში, პირადობის მოწმობის უფასოდ გაცემის კიდევ ერთი აქცია მიმდინარეობს: 31 ოქტომბრამდე პირადობის მოწმობის აღებას უფასოდ შეძლებს მოქალაქეთა შემდეგი კატეგორია:

რომელთაც არ გააჩნიათ არც ერთი მოქმედი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის მოწმობა, პასპორტი);

რომელთა რეგისტრაციის მისამართი ფიზიკურად აღარ არსებობს (არასრული/არარსებული ან ლიკვიდირებული მისამართი);

მონაცემთა ბაზაში უსურათო/უხარისხო ჩანაწერის მქონე მოქალაქეები;

რეგისტრაციიდან მოხსნილი საქართველოს მოქალაქეები;

მისამართის გარეშე რეგისტრირებული პირები, თუ ისინი რეგისტრაციას გაივლიან იდენტიფიცირებად მისამართზე.

აქციით სარგებლობისთვის მოქალაქეებმა უნდა მიმართონ იუსტიციის სახლებს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს ან საზოგადოებრივ ცენტრებს. აქციის ფარგლებში, დოკუმენტის გაცემისას მოქალაქეები გათავისუფლდებიან ფოტოსურათის გადაღების საფასურისგან. დღეის მდგომარეობით, საქართველოს 2 485 876-ზე მეტი მოქალაქე პირადობის ელექტრონულ მოწმობას ფლობს, ხოლო დამატებით 376 142 მოქალაქე – საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიულ პასპორტს, რაც სამოქალაქო რეესტრის ბაზებში 2 862 018 მილიონზე მეტი ზუსტი და უტყუარი მონაცემის არსებობას ნიშნავს.

თბილისის მეტროს მგზავრებს საჩუქრად წიგნები გადაეცათ

თბილისის მეტროს მგზავრებს გუშინ უჩვეულო სიურპრიზი დახვდათ ვაგონებში. მგზავრებს საჩუქრად გადაეცათ წიგნები და 23 აპრილს, წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მთაწმინდის პანთეონში დაგეგმილი ღონისძიების მოსაწვევი ბარათი, სადაც ქართველი თანამედროვე მწერლები წიგნებსა და ლიტერატურაზე ისაუბრებენ.

რატი ამაღლობელი გალაკტიონ ტაბიძის შესახებ; გიორგი კეკელიძე აკაკი წერეთლის შესახებ; ლევან ბერძენიშვილი მიხეილ ჯავახიშვილის შესახებ; დათო ტურაშვილი ბაჩანა ბრეგვაძის შესახებ; სანდრო ლორთქიფანიძე ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ; ეთერ თათარაიძე ვაჟა-ფშაველას შესახებ.

ლექციების პარალელურად, მთაწმინდის პანთეონის ტერიტორიაზე მოეწყობა წიგნების გამოფენა-გაყიდვა სპეციალური ფასდაკლებით.

მეტროს მგზავრებს, ასევე, საჩუქრად გადასცა წიგნები ფოტოგრაფმა გოგა ჩანადირმა, რომელიც უშუალოდ ჩაერთო ამ აქციაში.

აქციის ორგანიზატორები არიან თბილისის მერია, თბილისის სატრანსპორტო კომპანია, ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“, გამომცემლობა „ინტელექტი“ და „არტანუჯი“. ღონისძიების მიზანია წიგნის კითხვის პოპულარიზაცია.

ყველა დაინტერესებული სტუმრისთვის, 23 აპრილს, თავისუფლების მოედნიდან პანთეონის მიმართულებით, 15:30 საათსა და 16:30 საათზე უფასო ავტობუსი იმოძრავებს.

◎ გამოფენა

„ზმანებათა ფაბრიკის“ რელიკვიები

მასობრივი კულტურის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლის, ამერიკული კინოინდუსტრიის სახის – ჰოლივუდის რამდენიმე კინოსტუდიის უკვე ლეგენდად ქცეულ კინოფილმთან დაკავშირებული სხვადასხვა ნივთის გამოფენა ეწვია მოკლე ხნით თბილისურ ხელოვნების სასახლეს – საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმს.



ჰოლივუდთან დაკავშირებული მასშტაბური კოლექცია საქართველოში პირველად ჩამოიტანეს, თავად გამოფენა კი ამერიკის შეერთებული შტატებსა და საქართველოს შორის დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარების 25 წლისთავს მიეძღვნა.

გამოფენაზე, რომლის ექსპონატთა განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, რომელთა შორისაა ამერიკული და მსოფლიოს კინოს კაშკაშა ვარსკვლავების – ჰარისონ ფორდის, ტიმ ბარტონის, დენი დე ვიტოს, კლინტ ისტვუდისა და სხვა საქვეყნოდ ცნობილი რეჟისორისა თუ მსახიობის ფაქსიმილიანი ნივთები, მუზეუმში მხოლოდ რამდენიმე დღეს, 25 აპრილის ჩათვლით დაჰყოფს.

აღსანიშნავია, რომ ამერიკელებმა თბილისში მრავალი უაღრესად საინტერესო ნივთი ჩამოიტანეს, მათ შორის კინორეკვიზიტის საგნები, ორიგინალური აფიშები, სცენარების ხელნაწერები და მუსიკალური პარტიტურები, ასევე თავის დროზე ამერიკის კინოაკადემიის პრიზ „ოსკარზე“ თერთმეტგზის ნომინირებული, კინოპრემია „ოქროს გლობუსის“ და მრავალი სხვა საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი ფილმის „ნიუ-იორკის ბანდების“ პერსონაჟების კოსტიუმები, პოპულარული „ბეტმენის“ მთავარი გმირის ორიგინალური ნიღაბი და იარაღი „ბეტარანგი“, „პირადი მცველის“, სადაც მთავარ როლებს კევინ კოსტნერი, ჰარი კემპი და უდროოდ გარდაცვლილი შესანიშნავი მომღერლი უიტნი ჰიუსტონი ასრულებენ, მათი ხელმოწერილი ორიგინალური სცენარი...

ბუნებრივია, რომ გამოფენამ ყველა ასაკის მაყურებლის ინტერესი გამოიწვია, თუმცა კი სტუმრებს შორის უფრო ახალგაზრდები – კინოხელოვნების დარგის მომავალი სპეციალისტები და სკოლის მოსწავლეები ჭარბობენ, რომელთაც მეგზურობას კვალიფიციური გიდები უწევენ.

ლალი ხუნდაძე,
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.







საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3824; ევრო - 2.5404;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0135;
100 რუბლი - 4.2494; თურქული ლირა - 0.6460;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4181;
1000 სომხური დრამი - 4.9010.

ამინდი 20 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+6	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	–1,	დღე	+22
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5,	დღე	+27
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+22
თბილისი:	ღამე	+8,	დღე	+24

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge